სექსიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივ დონეზე საქართველოში

ევროპის საბჭოს
ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სექსიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივ დონეზე საქართველოში

სახელმძღვანელო ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართული პირებისთვის

ევროპის საბჭო

ორიგინალი:
Preventing and combatting sexism at local level in Georgia: A guide for women and men in local politics (ინგლისური ვერსია)

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორთა პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

არაუმეტეს 500 სიტყვიანი ნაწყვეტების რეპროდუცირება დაშვებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეპროდუცირება მიზნად ისახავს კომერციული სარგებლის მიღებას, და იმ ფაქტის გათვალისწინებით თუ დაცული იქნება დოკუმენტების მთლიანობა, ნაწყვეტი არ იქნება გამოყენებული კონტექსტიდან ამოვარდნილი ფორმით, არ იქნება არასრული ინფორმაციის შემცველი ან არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, მოცულობასა და შინაარსთან დაკავშირებით. წყარო ყოვე თვის უნდა იყოს მითითებული როგორც „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“. ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწ ლის რეპროდუცირებასთან/ თარგმნასთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

გამოცემასთან დაკავშირებული ყველა სხვა თხოვნა უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესს.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და
რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი
F 67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი
ელ-ფოსტა: congress.adm@coe.int

ყდა და დიზაინი: YUSTON,
სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ილუსტრაციები: Good Way

© ევროპის საბჭო, იანვარი 2022

შესავლის ნაცვლად

სახელმძღვანელო *„სექსიზმის პრევენცია და აღკვეთა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“,* რომელიც განკუთვნილია ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართული პირებისთვის, შემუშავდა პროექტის *„მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“* ფარგლებში პროექტი საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ხორციელდება.[1]

სახელმძღვანელო ეხმიანება კონგრესის „ადგილობრივ და რეგიონულ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ სექსისტური ძალადობის წინააღმდეგ“ ანგარიშს და 459(2020) რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებს კონგრესის სამდივნოს, შეიმუშაოს ინსტრუმენტები, სახელმძღვანელო პრინციპები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, ასევე, დაეხმაროს ადგილობრივ დონეზე არჩეულ ქალ წარმომადგენლებს და კანდიდატებს, იმოქმედონ სექსიზმისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის და ძალადობის, აგრეთვე სხვა პოლიტიკოსებისა და მედიის მხრიდან სექსისტური ქცევისა და ძალადობის წინააღმდეგ.[2]

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს *„სექსიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივ დონეზე უკრაინაში“* ადაპტაციას ქართული კონტექსტის მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელო შემუშავდა პროექტის *„დემოკრატიის და ნდობის განმტკიცება ადგილობრივ დონეზე უკრაინაში“* ფარგლებში, რომელიც ხორციელდება რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფალთა კონგრესის მიერ, უკრაინისთვის ევროპის საბჭოს 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

სახელმძღვანელოს თავდაპირველი ვერსია მოამზადეს გენდერული თანასწორობის ექსპერტებმა, გაბრიელ ბარდალმა, საერთაშორისო კონსულტანტი, და ნატალია ჩერმოშენცევამ, ადგილობრივი კონსულტანტი უკრაინიდან. წინამდებარე ადაპტაცია მომზადებულია ადგილობრივი კონსულტანტის, მარიეტა ახვლედიანის მიერ. დოკუმენტის მომზადებაში კონტრიბუცია შეიტანა გაბრიელ ბარდალმა. სახელმძღვანელოს ორივე ვერსია შემუშავებულია ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის სამდივნოს თანამშრომლობისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილების ზედამხედველობის ქვეშ.

სარჩევი

წინასიტყვაობა 9

შესავალი 11

ქალები ადგილობრივ ხელისუფლებაში: კანონები, პოლიტიკის დოკუმენტები და არსებული სტატისტიკა 14

ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმის ამოცნობა 23

სექსიზმთან ბრძოლის პრაქტიკული ღონისძიებები 29

სექსიზმთან ბრძოლის მრავალმხრივი სტრატეგიის ძირითადი საკითხები 30

ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა 31

სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა და პროგრესის მონიტორინგი სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე 34

ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართვის მსურველი პირების და კანდიდატების აღჭურვა სექსიზმთან ბრძოლის უნარებით 36

კაცებთან თანამშრომლობა სექსიზმთან ბრძოლისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით 38

სტანდარტების დადგენა და გამჭვირვალობის ღონისძიებების შემოღება 41

რეგიონული და ეროვნული გენდერული თანასწორობის ქსელების გამოყენება 44

ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაცია 45

ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმთან ბრძოლის ინსტიტუციური გზები 47

ეთიკის კოდექსი და სახელმძღვანელო მითითებები 48

ანგარიშვალდებულების ოფიცერი და ეთიკის სტანდარტების საბჭო 51

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობების განმტკიცება სექსიზმთან ბრძოლის კუთხით 55

ომბუდსმენის როლი სექსიზმთან ბრძოლაში 57
სანქციები, აღსრულება და დაცვის მექანიზმები 59
ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფა 64
ადგილობრივ მმართველობაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა კონკრეტული ღონისძიებების საშუალებით 65
დროებითი სპეციალური ზომების (TSM) მიღება 65
სხვა სტრუქტურული რეფორმები და პოლიტიკა 67
დასკვნა 71

წინასიტყვაობა

პოლიტიკაში და გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა ფართოდ არის აღიარებული, როგორც საზოგადოების სტაბილურობისა და კეთილდღეობის აუცილებელი წინაპირობა. გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში წარმოდგენილ 17 მიზანს შორის დასახელებულია გენდერული თანასწორობა და მყარი ინსტიტუტები.

თანაბარი მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროში, როგორიცაა ადგილობრივი მმართველობა, რადგან ხშირად სწორედ აქედან იწყებენ ქალები პოლიტიკაში შესვლას. ამასთან, ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღები პირები მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირების წინა ხაზზე დგანან, ხოლო მათ მიერ შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზები, მოგვიანებით, შესაძლოა, ცენტრალურ დონეზე იქნას მიღებული. მეორეს მხრივ, ადგილობრივ პოლიტიკაში ქალების აქტიურ ჩართულობას არაერთი დაბრკოლება აფერხებს. სექსისტური დისკურსი, დამოკიდებულებები და ძალადობა ქალი კანდიდატებისა და ადგილობრივ დონეზე არჩეული წარმომადგენლების მიმართ მნიშვნელოვნად აბრკოლებს ქალების მონაწილეობას და მათ კარიერულ წინსვლას პოლიტიკაში.

ვინაიდან სექსიზმი უარყოფით გავლენას ახდენს ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მიღწევაზე, ევროპის საბჭოს „გენდერული თანასწორობის სტრატეგიის“ პირველ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს გენდერულ სტერეოტიპებსა და სექსიზმთან ბრძოლა და პრევენცია. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის ძალისხმევა ქალებისა და კაცების დაბალანსებული წარმომადგენლობისკენ არის მიმართული. კერძოდ, კონგრესმა გამოსცა რეკომენდაცია და ანგარიში[3] პოლიტიკაში სექსისტურ ძალადობასთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, რომელშიც ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთ ინსტიტუტებსა და ადმინისტრაციებში სათანადო ღონისძიებების მიღებისკენ მოუწოდებს.

სექსიზმთან ბრძოლა და პრევენცია ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეული წარმომადგენლების მხრიდან კონცენტრირებულ ძალისხმევას საჭიროებს, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროს საჯარო ადმინისტრაციამ ყველა დონეზე, სამართალდამცავმა ორგანოებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ. საჯარო დაწესებულებებში თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით უნდა დაინერგოს ეფექტური სტრუქტურები, მექანიზმები და პოლიტიკა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ სულისკვეთებაზე და მოქალაქეთა მიერ ადგილობრივ მმართველობაში მონაწილეობის უფლებაზე დაყრდნობით, წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და კანდიდატების აღჭურვას სექსიზმის გამოვლენისა და მასზე რეაგირებისათვის საჭირო ცოდნით, რაც გააუმჯობესებს ქალების პოლიტიკურ მონაწილეობასა და წარმომადგენლობას ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე.

ანდრეას კიფერი
ევროპის საბჭოს ადგილობრივ
და რეგიონულ ხელისუფალთა
კონგრესის გენერალური მდივანი

შესავალი

ქალები, რომლებიც იკავებენ ადგილობრივ არჩევით თანამდებობებს, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კაცების მიერ დომინირებულ სფეროში. ამავდროულად, ისინი არაერთ ბარიერს აწყდებიან, მათ შორის, სექსიზმს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალების მიერ სამოქალაქო მოვალეობების სრულად და თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობას.

წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ეროვნული ასოციაციებისათვის, ისე სექსისტური ძალადობისა (მათ შორის, სექსისტური ენა და სექსუალური შევიწროება) და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო სამიზნე პირებისთვის, მათ შორის ქალი კანდიდატებისა და ადგილობრივი დონეზე არჩეული პირებისთვის. სახელმძღვანელო მკითხველს წინასაარჩევნო, საარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში, პრაქტიკული ღონისძიებების გამოყენების გზით, სექსიზმის იდენტიფიცირების, პრევენციისა და მასთან ბრძოლის გზებს სთავაზობს. მასში წარმოდგენილია კარგი პრაქტიკის მაგალითები, ერთი მხრივ, მუნიციპალურ დონეზე ცნობიერების ამაღლებასთან, ქცევის კოდექსებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, მოძალადეების წინააღმდეგ მოქმედ სანქციებთან და სექსისტური ქცევის სამიზნე პირებისათვის ხელმისაწვდომ დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით. ამასთან, სახელმძღვანელო ზოგადად მიმოიხილავს იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელიც ადგილობრივ მმართველობაში გენდერული

თანასწორობის გაუმჯობესების გზით, სექსიზმის ძირითადი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზანს ემსახურება.

ევროპის საბჭოს განმარტების თანახმად, **სექსიზმი** არის „ნებისმიერი აქტი, ჟესტი, ვიზუალური გამოსახულება, ზეპირი ან წერილობითი განცხადება, პრაქტიკა ან ქცევა, რომლებიც ეფუძნება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნების იდეას სქესის ნიშნით, რაც ვლინდება საჯარო თუ კერძო სფეროში, ინტერნეტ-სივრცეში ან მის გარეთ.“[4] სექსიზმი ფართოდ არის გავრცელებული ყველა სექტორსა თუ საზოგადოებაში და წარმოადგენს ქალებსა და კაცებს შორის ძალთა ისტორიული უთანასწორო თანაფარდობის გამოვლინებას, რაც განაპირობებს ქალების დისკრიმინაციას და ხელს უშლის საზოგადოებაში მათ სრულფასოვან განვითარებას.[5]

ადგილობრივი და რეგიონული მმართველობების წარმომადგენლებისა და საჯარო მოსამსახურეების წინააღმდეგ მიმართული სექსისტური თავდასხმები და აღნიშნულ ორგანოებში არსებული სექსისტური ქცევა მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის არჩეული ქალების ეფექტურ მონაწილეობას ადგილობრივ მმართველობაში (შენიშვნა: წინამდებარე სახელმძღვანელო არ ეხება სექსისტურ პოლიტიკას ან ქცევას, რომელსაც შესაძლოა ადგილობრივი ორგანოები მოქალაქეების მიმართ იყენებდნენ). აღნიშნული პრობლემის დაძლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მმართველობის კონტექსტში, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებს განსაკუთრებული გავლენა აქვთ მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიცაა: საცხოვრებელი პირობები, უსაფრთხოება, ტრანსპორტი და ეკონომიკა.

ადგილობრივი მმართველობა ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ინოვაციებისა და პრობლემების გადაჭრის ასპარეზია - კერძოდ, გადაწყვეტილების მიმღები პირები პრობლემის გადაჭრის საცდელ გზებს ადგენენ და ცდიან მანამ, სანამ ისინი მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგება. ამასთან, ხშირად, ქალები პოლიტიკაში შესვლას ადგილობრივი პოლიტიკიდან იწყებენ. ამის გათვალისწინებით, ისეთმა ბარიერებმა, როგორიცაა ქალი კანდიდატებისა და ადგილობრივი დონეზე არჩეული პირების წინააღმდეგ სექსიზმი, შესაძლოა, შეაფერხოს ქალების პოლიტიკაში შესვლა და მათი პოლიტიკური კარიერის განვითარება. ქალების თანაბარი მონაწილეობა და წარმომადგენლობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთლიანი მოსახლეობის საჭიროებებსა და პრობლემებზე ადეკვატურად რეაგირებისა და ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის.[6]

წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო მიზნად ისახავს სექსიზმთან ბრძოლასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ადგილობრივ მმართველობაში. კერძოდ, ის ხუთ კონკრეტული მიზანს ისახავს:

- **პოლიტიკური და ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის (გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება) მიღწევა;**
- **ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ეროვნული ასოციაციების გაძლიერება, რათა მათ ძირითად პრობლემაზე მოახდინონ რეაგირება, შექმნან ტოლერანტული და მხარდამჭერი სამუშაო სივრცე და ხელი შეუწყონ საზოგადოებაში გენდერულ თანასწორობას;**
- **ადგილობრივ დონეზე არჩეული ქალების გაძლიერება, რათა მთავარი დაბრკოლების აღმოფხვრის შედეგად, მათ ეფექტურად შეასრულონ თავიანთი როლი;**
- **უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს შექმნა ქალებისათვის, რათა მათ ადგილობრივ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა;**
- **საზოგადოებაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ლეგიტიმურობის, წარმომადგენლობისა და ეფექტურობის შესახებ არსებული წარმოდგენების გაუმჯობესება.**

ქალები ადგილობრივ ხელისუფლებაში: კანონები, პოლიტიკის დოკუმენტები და არსებული სტატისტიკა

ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და გენდერული პარიტეტი მმართველობის უმაღლეს დონეზე კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ეს არის ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც საქართველომ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ფარგლებში აიღო (მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა, მიზანი 5.5: პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა).

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას ცხოვრების ყველა სფეროში; ქვეყანას რატიფიცირებული აქვს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ ყველა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, ამ ვალდებულებების შესასრულებლად არსებული ინსტიტუციური მექანიზმები გაძლიერებას საჭიროებს.

საპარლამენტთაშორისო გაერთიანების მონაცემებით, 2021 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, საქართველო 119 ქვეყნიდან 192-ე ადგილზეა ეროვნულ პარლამენტებში ქალების წარმომადგენლობის თვალსაზრისით.[7] გაეროს განვითარების პროგრამის 2020 წლის ადამიანის განვითარების ინდექსის თანახმად, საქართველოს 61-ე ადგილი უჭირავს 189 ქვეყნიდან. გარდა ამისა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2020 წლის გლობალური გენდერული პოლიტიკური გაძლიერების ინდექსით, საქართველო 153 ქვეყნიდან 74-ე ადგილზეა.[8]

2020 წლის საარჩევნო რეფორმის შემდეგ, საქართველომ მიიღო სავალდებულო გენდერული კვოტები,[9] ეროვნული და ადგილობრივი არჩევნებისათვის. 2020 წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დროს მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, როდესაც პარლამენტის არჩეული ქალი წევრების რაოდენობა 14.8%-დან 19.3%-მდე გაიზარდა,[10] პოლიტიკური წარმომადგენლობა დაბალია და ამ მხრივ, საქართველო რჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელზე ქვემოთ - 2021 წლის მონაცემებით - 30.9%-ით.[11]

ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში (1999 წლიდან დღემდე)

წყარო: Inter-Parliamentary Union (IPU)



დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა ასახულია ადგილობრივ დონეზეც. 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, საკრებულოებში ქალების რაოდენობა გაიზარდა 23.74%-მდე 2010 წელთან (11.1%). 2014 წელსა (11.6%) და 2017 წელთან (13.4%) შედარებით.[12] ჯამში სამი ქალი მერი იქნა არჩეული: ერთი თვითმმართველ ქალაქ რუსთავში (ხუთი თვითმმართველო ქალაქიდან) და ორი დუშეთისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში (64 მუნიციპალიტეტიდან).[13]

გენდერული თანასწორობის სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო საქართველოში

საერთაშორისო და რეგიონული ვალდებულებები

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 2015-2030 წლებისთვის[14]

SDG5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება

1995 წელს ქალთა საკითხებზე გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (BPfA)

- ზომების მიღება სახელისუფლებო სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიღებაში ქალების სრულფასოვანი წარმომადგენლობისა და თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად
- ქალების შესაძლებლობების გაზრდა გადაწყვეტილების მიღებასა და ხელმძღვანელობაში მონაწილეობის კუთხით
- ეროვნული მექანიზმებისა და დამატებით სახელმწიფო ორგანოების შექმნა და განმტკიცება
- გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება კანონმდებლობაში, საჯარო პოლიტიკაში, პროგრამებსა და პროექტებში
- გენდერულად დეტალიზებული მონაცემებისა და ინფორმაციის შექმნა და გავრცელება დაგეგმვისა და შეფასების მიზნებისთვის

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW, 1980) და მისი დამატებითი ოქმი

ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციის აღმოფხვრა ყველა სფეროში და ქალებისა და გოგონების თანაბარი უფლებების ხელშეწყობა

ქალთა სტატუსის კომისიის 65-ე სესიაზე შეთანხმებული დასკვნები (2021)[15]

სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, აღკვეთონ და აღმოფხვრან ქალთა მიმართ ძალადობა საჯარო ცხოვრებაში:

- ნორმატიული, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოების გაძლიერებით, მათ შორის მიმართვის, შევიწროების, ბულინგის ან მუქარის ჩათვლით
- მრავალსექტორული და კოორდინირებული მიდგომების მეშვეობით ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოძიების, დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის და დაუსჯელობის დასასრულებლად, და დაცვისა და შესაბამისი საშუალებებისა თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის... და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის სტრუქტურული და გამომწვევი მიზეზების გადაწყვეტა გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების, კვლევისა და გაძლიერებული კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების გზით
- საჯარო და კერძო სივრცეებში შევიწროების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით პროგრამებისა და სტრატეგიების განხორციელებით, მათ შორის ციფრულ კონტექსტში (კიბერბულინგი და კიბერსტალკინგი)
- აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირების შესაძლებლობების გაძლიერებით
- უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად ზომების მიღებით; დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლისა და დარღვევებსა და შეურაცხყოფაზე პასუხისმგებელი პირების დაუყოვნებლივი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფით.

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ (სტამბულის კონვენცია)

სტამბოლის კონვენცია არის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ექსპლიციტურად ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას და აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა ისტორიულად უთანასწორო თანაფარდობის გამოვლინებაა.

გარდა ამისა, სტამბოლის კონვენცია განსაზღვრავს „გენდერს“, როგორც სოციალურად განსაზღვრულ როლებს, ქცევებს, აქტივობებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალებისა და მამაკაცებისათვის შესაფერისად მიიჩნევს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ზომები, და სახელმწიფოს მასშტაბით განახორციელონ ეფექტური, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ყველა შესაბამის ზომას, რათა თავიდან იქნას აცილებული და აღმოიფხვრას ძალადობის ყველა ფორმა, რომელიც მოიცავს ამ კონვენციის სფეროს და უზრუნველყოფს ჰოლისტურ მიდგომას ქალთა მიმართ ძალადობასთან მიმართებით.

ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 წევრ სახელმწიფოებს სექსიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ

პირველი დოკუმენტი, რომელიც განმარტავს სექსიზმს როგორც „ნებისმიერი აქტი, ჟესტი, ვიზუალური გამოსახულება, ზეპირი ან წერილობითი განცხადება, პრაქტიკა ან ქცევა, რომლებიც ეფუძნება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნების იდეას სქესის ნიშნით, რაც ვლინდება საჯარო თუ კერძო სფეროში, ინტერნეტსივრცეში ან მის გარეთ.“

ის რეკომენდაციას უწევს წევრ ქვეყნებს, ხელი შეუშალონ სექსიზმს და მის გამოვლინებას საჯარო და კერძო სფეროებში და წაახალისონ დაინტერესებული მხარეები, აღასრულონ შესაბამისი კანონმდებლობა, პოლიტიკა და პროგრამები.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის რეკომენდაცია 449 (2020) და ანგარიში „პოლიტიკაში ქალთა მიმართ სექსისტური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე"

რეკომენდაციის საშუალებით კონგრესი მოუწოდებს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას, როგორც პოლიტიკურმა ლიდერებმა, მტკიცე პოზიცია დაიკავონ ქალების წინააღმდეგ მიმართულ სექსისტური თავდასხმებზე, შემოიღონ ან გადახედონ ქცევის კოდექსებს, რომლებიც აშკარად კრძალავს სექსისტურ ქცევებსა და გამოსვლებს მათ ასამბლეებში. ასევე, მოუწოდებს მათ, რომ საარჩევნო პერიოდში ქალთა მიმართ სექსისტური თავდასხმებთან მიმართებით იყვნენ ყურადღებით და გაუწიონ მონიტორინგი კანდიდატების ნომინაციის პროცედურებს თანასწორობის ჭრილში. გარდა ამისა, იგი იწვევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, უზრუნველყონ მხარდაჭერა და რესურსები ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებისთვის.[16]

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება (2014)

უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები მამაკაცებსა და ქალებს შორის სხვადასხვა სექტორში.

საქართველოს კონსტიტუცია

მე-11 მუხლი უზრუნველყოფს თანასწორობის უფლებას. კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და ნებისმიერი დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ან რაიმე სხვა ნიშნით აკრძალულია.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ქალთა და მამაკაცთა თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს, ასევე ითვალისწინებს სპეციალურ ზომებს მამაკაცთა და ქალთა არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2011)

სახელმწიფო მხარს უჭერს და უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს უფლებების თანაბრად სარგებლობას, დისკრიმინაციის გარეშე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ხმის მიცემის თანაბარი უფლებებით, ასევე წარმომადგენლობით ორგანოში არჩევით. კანონი ითვალისწინებს გენდერულ თანასწორობას და მთავრობის პოლიტიკაში გენდერულ მეინსტრიმინგს, ადგენს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მოვალეობებს, ასევე ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას.

ცენტრალურ დონეზე, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, შეიქმნა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო,[17] ასევე საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია.[18]

ადგილობრივ დონეზე შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოები და დაინიშნა გენდერის საკონტაქტო პირები მუნიციპალიტეტებში, მე-13 მუხლის შესაბამისად.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი (2014)

კანონი განსაზღვრავს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის შევიწროებასა და სექსუალურ შევიწროებას, და ვრცელდება ყველა საჯარო და კერძო დაწესებულებაზე.[19] კანონის თანახმად, ყველა დაწესებულებამ, თავიანთი საქმიანობა, სამართლებრივი აქტები და შინაგანაწესი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა შეუსაბამოს ანტი-დისკრიმინაციულ კანონს და სხვა ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობას. აღნიშნული კანონის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველი განსაზღვრულია როგორც დამოუკიდებელი ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმი.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი (2006)

განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს

საქართველოს საარჩევნო კოდექსი (2011)

2020 წლის საარჩევნო რეფორმის შედეგად მიღებული იქნა სავალდებულო გენდერული კვოტა,[20] როგორც დროებით ზომა, 2032 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში, ასევე 2028 წლამდე ჩასატარებელ თვითმმართველობის არჩევნებში.[21]

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წწ. და ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა 2018-2020 წწ

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და პრაქტიკულ დონეზე მოქმედების 23 პრიორიტეტულ სფეროს, მათ შორის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, ქალთა უფლებების დაცვას და ოჯახში ძალადობის პრევენციას, ასევე ამგვარი ძალადობის შედეგად გამოწვეულ შედეგებს. სამოქმედო გეგმა, სხვა საკითხებთან ერთად, ქალი კანდიდატების შესაძლებლობის ამაღლებისა და გენდერული თანასწორობის სასწავლო პროგრამების შემუშავების გზით, ქალთა გაძლიერებასა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.[22]

2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (NAP) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის (UNSCR) 1325 „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ განხორციელებისათვის

ეროვნული სამოქმედო გეგმა უსაფრთხოების სექტორსა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში გენდერული საკითხების ჩართვასთან დაკავშირებით მთავრობის ერთიან მიდგომას წარმოადგენს. აღნიშნული მიდგომა სამშვიდობო მოლაპარაკებებში გენდერული პერსპექტივის გამოყენებას, ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვასა და, კონფლიქტების პრევენციასა თუ მოგვარებაში მათი მონაწილეობის ხელშეწყობას გულისხმობს.[23]

ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმის ამოცნობა

სექსისტური ქცევა[24] ადგილობრივ მმართველობაში, შესაძლოა, იყოს პირდაპირი ან ირიბი, მათ შორის, წერილობითი, ვერბალური, ფიზიკური, ელექტრონული ან ჰქონდეს გამოხატვის სხვა ფორმა. სექსისტური ქცევა და სექსუალური შევიწროება, შესაძლოა, იყოს ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური, და მოიცავდეს ისეთ აშკარა და აქტიურ ქმედებებს, როგორიცაა ფიზიკური თავდასხმა ან ღიად დისკრიმინაციული კომენტარები, პასიური თუ შეუმჩნეველი ქმედებები - მაგალითად, როდესაც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ქალების ჩართვა შეხვედრებსა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში რეგულარულად „ავიწყდებათ“, ან მუდმივად აბრაზებენ/დასცინიან მათ. ამ ქმედებებს, შესაძლოა, ჰქონდეს ერთჯერადი ინციდენტის ან დროის გარკვეულ მონაკვეთში განმეორებადი ქცევის სახე. სექსუალურ შევიწროებას განსაზღვრავს არა ქცევის განმახორციელებელი, არამედ, ქცევის სამიზნე პირი - ამგვარი ქმედებები არ მართლდება ისეთი განცხადებებით, როგორიცაა „ეს ხუმრობა იყო“ ან „არ მინდოდა მისი შეურაცხყოფა“. სექსისტური კომენტარები, შესაძლოა, საზიანო იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტული ადამიანისკენ. მაგალითად, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი კაცი ქალების არასრულფასოვნების შესახებ აკეთებს შეურაცხმყოფელ განცხადებას,

შეიძლება ითქვას, რომ იგი წევრი ქალების მიმართ ჩადის შევიწროებას, რადგან მისი განცხადება ქალი წევრების მიმართ მტრული სამუშაო გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

ადგილობრივი მმართველობის კონტექსტში, სექსისტურ ენასა და სექსისტურ შევიწროებას შესაძლოა იყენებდნენ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები, აპარატის თანამშრომლები და ადმინისტრაციული პერსონალი, სხვა არჩეული მოხელეები ან სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლები, ისევე, როგორც ამომრჩევლები და ადგილობრივი საზოგადოების წევრები. სექსიზმის ჩამდენი პირი შესაძლოა იყოს კაცი, ან ქალი, რომელსაც სამიზნე იცნობს ან არ იცნობს. ადგილობრივ მმართველობაში ქალთა მიმართ სექსიზმს, შესაძლოა, ასევე, ხელს უწყობდეს სოციალური მედია - მაგალითად, როდესაც მომხმარებლები სოციალურ ქსელებში გამოხატავენ შეურაცხყოფას, დაცინვას და ა.შ.

სექსიზმი საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფენომენია და სათავეს იღებს არსებული გენდერული სტერეოტიპებიდან და როლებიდან ცხოვრების ყველა სფეროში. სექსიზმი ვლინდება ინტერნეტსივრცეში ან მის გარეთ და ხშირად მიმართულია პოლიტიკოსი ქალების მიმართ, მმართველობის ყველა დონეზე. საჯარო ცხოვრებაში ქალთა და ქალი ლიდერების არათანაბარი აღქმა კვლავაც არსებობს. საზოგადოების აღქმისა და დამოკიდებულებების კვლევის თანახმად, გამოკითხული 10 კაციდან თითქმის 4 არ ეთანხმებოდა იმას, რომ როდესაც ქალი თანაბრად კვალიფიციურია, როგორც კაცი, მას თანაბარი ხარისხით შეუძლია იგივე სამუშაოს შესრულება.[25]

სექსისტური შინაარსის შენიშვნები და სურათები ყველაზე ხშირად სოციალური მედიის პლატფორმებზე ვრცელდება; თუმცა, სექსისტური გაშუქება ასევე არსებობს მასმედიაში.[26] ყოველივე ეს ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების გამყარებას. ამ კუთხით, მასმედია და სოციალური ქსელები უარყოფით როლს თამაშობს ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ სექსიზმის გავრცელებაში. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გენდერული თანასწორობის საწინააღმდეგო დისკურსი გაძლიერდა და გაიზარდა სექსისტური თავდასხმების რაოდენობა პოლიტიკოს ქალებზე. ამ პერიოდში ქალი პოლიტიკოსების მიმართ გამოიყენებოდა დისკრიმინაციული, გენდერულად მიკერძოებული და სექსისტური ენა.[27] ტერმინოლოგიას ჰქონდა სექსისტური კონოტაცია და შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ლექსიკა.[28] ე.წ. „სლათ-შეიმინგი“ არის ერთ-ერთი გავრცელებული ნარატივი, რომელიც გამოიყენება ქალების შეურაცხყოფისათვის გენდერულ ნორმებთან შეუსაბამო ქცევის,

ასევე, გარეგნობის ან ჩაცმულობის სტერეოტიპული მოლოდინების გამო. შენიშვნები ინტელექტუალური შესაძლებლობების, გამოცდილებისა და კომპეტენციების შესახებ, ასევე გამოიყენება ქალების დასაცინად.[29]

2020 წლის საარჩევნო კამპანიის დროს საქართველოში არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელი ოფიციალური პირები დისკრიმინაციულ ფრაზეოლოგიასა და სექსისტურ კომენტარებს იყენებდნენ ქალი პოლიტიკოსების მიმართ, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალების მიმართ. კომენტარების შინაარსს უმეტესად ჰქონდა სექსუალური კონოტაცია ან ეხებოდა არსებულ გენდერულ როლებს.[30]

სექსიზმი საქართველოს კანონმდებლობაში პირდაპირ განსაზღვრული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სექსიზმი ხვდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, ტერმინის პირდაპირ არსებობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სექსიზმის უკეთ გაგებას. საქართველოში სექსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს ამ ფენომენისადმი მგრძნობელობისა და გენდერულ თანასწორობაზე მისი უარყოფითი გავლენის შესახებ ცნობიერების ნაკლებობა; ასევე არასაკმარისი ინსტიტუციური რეაგირება სექსიზმის შემთხვევებზე, მათ შორის საჯარო პირების, პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან შემთხვევების დაგმობის და სექსისტური ენის გამომყენებელი პირის პასუხისმგებლობის დაყენების ნაკლებობა.

ადგილობრივ მმართველობაზე სექსიზმის უარყოფითი გავლენის შედეგად, შესაძლოა, არჩეულმა ქალებმა ვერ შეძლონ საკუთარი აზრის გამოხატვა ან საჯარო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა, ვინაიდან სექსიზმი განაპირობებს ქალების იზოლირებას, მათ მოსაზრებებს სერიოზულად არ ეკიდებიან ან ცხადად გამოხატავენ მათ მიმართ უნდობლობას, გენდერული ნიშნის გამო. ქალებმა, რომლებიც განიცდიან სექსიზმს ან მუშაობენ სექსისტურ გარემოში, შესაძლოა, ვეღარ ისარგებლონ შესაძლებლობებით, რომელიც მათი პოლიტიკური კარიერის წინსვლას განაპირობებს (მედია გაშუქება, ტრენინგი, გავლენიანი კომიტეტების ხელმძღვანელობა და ა.შ.). ამასთან, მათ, შესაძლოა, საერთოდ უარი თქვან მეორე ვადით არჩევის შესაძლებლობაზე და არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღონ. როგორც ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებში, ისე საზოგადოებაში სექსიზმისა და სექსუალური შევიწროების შემსწრე პირები ხშირად თავს იკავებენ მხარდაჭერის გამოხატვისა ან ჩარევისგან, რადგან მათ საპასუხო რეაქციის ეშინიათ. სექსიზმის შემთხვევებმა, შესაძლოა,

გამოიწვიოს დაპირისპირება და კონფლიქტი, რასაც, როგორც წესი, მოჰყვება მედიაციისა და სამართალწარმოების ძვირადღირებული და ხანგრძლივი პროცესები. ეს ყოველივე კი მმართველობის ეფექტურობაზე უარყოფითად აისახება.

სექსისტური ქცევისა და შევიწროების მაგალითები

წყარო: CUPE. https://cupe.ca/stop-harassment-guide-cupe-locals-1

ძირითადი განმარტებები

სექსიზმი

ნებისმიერი აქტი, ჟესტი, ვიზუალური გამოსახულება, ზეპირი ან წერილობითი განცხადება, პრაქტიკა ან ქცევა, რომელიც ეფუძნება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნების იდეას სქესის ნიშნით, რაც ვლინდება საჯარო თუ კერძო სფეროში, ინტერნეტსივრცეში ან მის გარეთ, და მიზნად ისახავს ან იწვევს: i. ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის თანდაყოლილი ღირსებისა თუ უფლებების დარღვევას; ii. ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან სოციალურ-ეკონომიკურ ზიანსა თუ ტანჯვას; iii. დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი, ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას; iv. ბარიერის შექმნას ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ავტონომიისა და მათ მიერ უფლებების სრულად რეალიზებისათვის; v. გენდერული სტერეოტიპების შენარჩუნება-განმტკიცებას.

სექსუალური შევიწროება

სექსუალური ხასიათის არასასურველი ვერბალური, არავერბალური ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირისათვის ღირსების შელახვას ან ქმნის მტრულ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ გარემოს.

ქალთა მიმართ ძალადობა

საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

ირიბი დისკრიმინაცია

საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

პირდაპირი დისკრიმინაცია

ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დისკრიმინაციის წახალისება

ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელებულია მესამე პირის მიმართ დისკრიმინაციის მიზნით პირის იძულების, წახალისების ან მხარდაჭერის გზით.

შევიწროება

ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

სექსიზმის დეფინიცია აღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2019)1რეკომენდაციიდან, მიღებულია 27 მარტი 2019, rm.coe.int/cm-rec-2019-1-on-preventing-and-combating-sexism/168094d894; ხოლო სხვა ყველა დეფინიცია ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას.

სექსიზმთან ბრძოლის პრაქტიკული ღონისძიებები

სექსიზმის აღმოფხვრა საჭიროებს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობასა და შესაბამისი პროცესებისა და ინსტიტუტების გამოყენებას. წინამდებარე სექცია მიმოიხილავს იმ ძირითად სფეროებს, სადაც პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება აქტიურად უწყობს ხელს ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმთან ბრძოლას. პირველ რიგში განხილულია, თუ რა შესაბამისი ქმედების განხორციელება შეუძლიათ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს. აღნიშნული მოიცავს დისკუსიებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მონაცემებზე და კვლევებზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაუმჯობესების გზების შესახებ. წინამდებარე სექცია, ასევე, განიხილავს ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართვის მსურველი პირებისა და კანდიდატების შესაძლებლობების განვითარების მეთოდებსა და მიღწეული შედეგების განმტკიცების მიზნით კაცებთან (მათ შორის, ახალგაზრდა კაცებთან) მუშაობის გზებს. ამავე სექციაში წარმოდგენილია სტანდარტები და გამჭვირვალობის ზომები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს სექსიზმზე რეაგირების გაუმჯობესებაში დაეხმარება, ასევე იდეები ახალი ტექნოლოგიებისა და კავშირების

გამოყენებით პრობლემების გადაჭრის გზების იდენტიფიცირების შესახებ.

მომდევნო, მე-4 სექციაში განხილულია სახელმწიფო პროცესებისა და ინსტიტუტების ადაპტაციის შესაძლებლობები, რათა გაუმჯობესდეს მათ მიერ სექსიზმზე და დისკრიმინაციაზე რეაგირება და პრევენცია ადგილობრივ დონეზე. სექცია იწყება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის განკუთვნილი ქცევის კოდექსებითა და ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპებით, რის შემდეგაც განხილულია პრობლემის გადაჭრის შესაძლო ინსტიტუციონალური გზები, ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე. დასასრულს, სექციაში განხილულია შესაძლო სანქციები და დაცვის საშუალებები და წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია რესურსების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

წინამდებარე დოკუმენტში განხილული ყველა ინტერვენცია, შესაძლოა, გამოყენებული იქნას საარჩევნო პერიოდის რომელიმე ეტაპზე (წინასაარჩევნო, საარჩევნო და არჩევნების შემდგომი ეტაპები) ან მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში.

სექსიზმთან ბრძოლის მრავალმხრივი სტრატეგიის ძირითადი საკითხები

ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმის აღმოფხვრა საჭიროებს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობას. წინამდებარე სექცია მიმოიხილავს, თუ როგორ უნდა გააუმჯობესონ ძირითადმა აქტორებმა (ადგილობრივი მმართველობის ორგანოები) სექსიზმთან ბრძოლის კუთხით გაწეული ძალისხმევის ხარისხი და გავლენა. ამ სექციაში განხილულია სექსიზმზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივ მმართველობასა და სხვა ძირითად ჯგუფებს (მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებას) შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები. ამასთან, მნიშვნელოვანია სხვა სამიზნე ჯგუფების - მაგალითად, ადგილობრივ ორგანოებში მომუშავე მამაკაცების, ქალი კანდიდატებისა და პოლიტიკაში ჩართვის სურვილის მქონე ქალების უკეთ მხარდაჭერა, რათა უფრო მეტი წვლილი შეიტანონ კონსტრუქციული გარემოს შექმნაში.

მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომები ორგანიზაციებს პოლიტიკის, პრაქტიკის, ღონისძიებებისა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესების სამართლიანობის უზრუნველყოფაში ეხმარება, რათა ამ პროცესებმა არ დააბრკოლოს რომელიმე დაცული ჯგუფის მონაწილეობა და არ ჩააყენოს ისინი არახელსაყრელ მდგომარეობაში.[31] თანასწორობის გავლენის შეფასება (EIA) და სხვა დოკუმენტები (კვლევები, მონაცემთა შეგროვება და ა.შ.) ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლობით ორგანოთა აუცილებელი ინსტრუმენტია, რათა მათ თავიანთ დაწესებულებებში არსებული პრობლემა განსაზღვრონ და დაადგინონ საბაზისო მაჩვენებელი, რომელზე დაყრდნობითაც შეფასდება მიღწეული პროგრესი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ აღნიშნული ღონისძიებების სხვადასხვა დონეზე დანერგვა - როგორც ზოგადად დაწესებულების, ისე კონკრეტული პოლიტიკის ან პროცედურის დონეზე.

ადგილობრივი ორგანოების მიერ მონაცემთა შეგროვება უნდა იყოს თანმიმდევრული და უწყვეტი, ხოლო მონაცემები გენდერის მიხედვით დეტალიზებული. ზოგიერთი მონაცემები, როგორიცაა, სექსიზმი წინასაარჩევნო კამპანიის ან კენჭისყრის დროს, სპეციფიური მონაცემებია და მხოლოდ საარჩევნო პერიოდებს უკავშირდება. მონაცემების შეგროვება, დოკუმენტირება და შეფასება უნდა განხორციელდეს დროულად, რათა შედეგები ეფექტურად იქნას გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამ შედეგების საფუძველზე, ადგილობრივი ორგანოები შეძლებენ, გააუმჯობესონ შიდა პროცესები და სტრუქტურები და შეამცირონ სექსისტური პრაქტიკა გარე აქტორებში - მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებში. EIA როგორც წესი გამოიყენება პოლიტიკაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ან შემოთავაზებული ცვლილებების შესაფასებლად. მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომები, დამატებით, თანასწორობის საკითხების გათვალისწინების შესახებ წერილობითი ჩანაწერების შექმნას და ინსტიტუციური გამჭვირვალობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

უკრაინა

„ქ. ჟიტომირის საკრებულოს გენდერული პორტრეტი“ შეიცავს გენდერულად დეტალიზებულ მონაცემებს საკრებულოს შესახებ. კერძოდ, დოკუმენტში ინფოგრაფიკების სახით არის წარმოდგენილი ისეთი მონაცემები, როგორიცაა: ქალებისა და კაცების რაოდენობა საკრებულოს დეპუტატებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელებს და ხელმძღვანელის მოადგილეებს, სტრუქტურული განყოფილებების სპეციალისტებს და ა.შ. შორის, მათი ასაკი და განათლების დონე.[32] ჟიტომირის საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდი შეიცავს ინფორმაციას „თანასწორი შესაძლებლობების“ შესახებ, სადაც წარმოდგენილია გენდერული სტატისტიკა, შესაბამისი კანონმდებლობა, ინფორმაცია ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი და ანტიდისკრიმინაციული პროექტების შესახებ.[33]

საქართველო

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შეიმუშავა საინფორმაციო პორტალი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მიიღონ ცესკოს მიერ დამუშავებული გენდერული სტატისტიკა არჩევნებთან დაკავშირებით. გენდერული სტატისტიკის პორტალი აფიქსირებს ინფორმაციას ამომრჩეველთა ერთიანი სიის, საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების, აგრეთვე საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის შესახებ.[34]

საქართველო

საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა (საქსტატმა) 2018 წელს შექმნა გენდერული სტატისტიკის პორტალი.[35] პორტალი აჯგუფებს გენდერულად განცალკევებულ მონაცემებს ინფოგრაფიკისა და ინტერაქტიული მონაცემების ვიზუალიზაციის საშუალებით და იძლევა გენდერულ სტატისტიკას ისეთ სფეროებში, როგორიცაა დემოგრაფია, ჯანდაცვა, განათლება, დასაქმება და უმუშევრობა, უსაფრთხოება, სოფლის მეურნეობა, მმართველობა, ბიზნეს სექტორი, შინამეურნეობები, შემოსავლის გამომუშავება და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

გაერთიანებული სამეფო

ბოლო ათი წელია გაერთიანებული სამეფოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები EIA-ს აქტიურად იყენებენ „საჯარო სექტორის თანასწორობის ვალდებულებით“ (SPED) გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების მიზნით.[36] აღნიშნული აქტის თანახმად, ყველა საჯარო ორგანო ვალდებულია, აღკვეთოს სქესით, გენდერით და სხვა ნიშნით მოტივირებული დისკრიმინაცია, შევიწროება და ვიქტიმიზაცია. თითოეულ ადგილობრივ ორგანოში განსხვავებული პროცედურები მოქმედებს, თუმცა, ზოგადად, გაერთიანებულ სამეფოში EIA მოიცავს წინასწარ შეფასებას (სკრინინგს), რათა დადგინდეს, საჭიროა თუ არა შემდგომი ანალიზი და რა მიზნით. შემდგომი ანალიზის საჭიროების შემთხვევაში, კითხვარის გამოყენებით სრული შეფასება ტარდება და ანგარიში საჯაროდ ქვეყნდება.

EIA-ს კითხვები, შესაძლოა, უკავშირდებოდეს შემოთავაზებული პოლიტიკის გენდერულ ანალიზს, შესაბამისი საჯარო მონაცემების გამოყენებას, კონსულტაციას ადგილობრივ აქტორებთან, მონაცემების შეგროვებასა და მტკიცებულებებს. შედეგად, შემუშავებული რეკომენდაციები განსაზღვრავს, თუ რამდენად უზრუნველყოფს შემოთავაზებული პოლიტიკა ადგილობრივი ორგანოს პასუხისმგებლობების შესრულებას თანასწორობასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. EIA-ს ფორმები, სახელმძღვანელო მითითებები და ანგარიშები ხელმისაწვდომია აქ: www.northampton.gov.uk/info/200041/equality-and-diversity/1305/community-andor-equality-impact-assessments-incorporating-health-considerations

სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა და პროგრესის მონიტორინგი სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე

ზუსტი მონაცემები და დოკუმენტაცია ადგილობრივ ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს, განსაზღვრონ დროთა განმავლობაში მისაღწევი პროგრესის სამიზნე მაჩვენებლები. სექსიზმის გავრცელების შემცირების მიზნით ამბიციური, თუმცა რეალისტური მიზნების დასახვა და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერული თანასწორობის გაზრდა წარმატების ხელშესახები გზამკვლევის შექმნას ემსახურება. სამიზნე მაჩვენებლები უნდა ეფუძნებოდეს ზუსტ მონაცემებს და უნდა შემუშავდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (სახელმწიფო და არა-სახელმწიფო) თანამშრომლობის საფუძველზე, კონტექსტის შესაბამისად.

შეუსრულებელი სამიზნე მაჩვენებლები ავტომატურად უნდა იწვევდეს პოლიტიკის დონეზე საჭირო ცვლილებების განხორციელებას - მაგალითად, თანასწორობის ღონისძიებებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის გაზრდას. ადგილობრივ ორგანოებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა, ამ მხრივ, განსაკუთრებით ეფექტური შეიძლება იყოს. კერძოდ, სამოქალაქო ორგანიზაციებს შეუძლიათ, მონიტორინგი გაუწიონ სამიზნე მაჩვენებლების მიღწევას და მოამზადონ შესაბამისი მოსაზრებები, კვლევა და დოკუმენტაცია. მათ, ასევე, შეუძლიათ, უზრუნველყონ ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სამიზნე მაჩვენებლებისა და განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან ადგილობრივი ხელისუფლების ლეგიტიმურობის აღქმასა და ნდობას.

საქართველო

„გენდერული ბარომეტრი“ არის პროექტი, რომლის მიზანია სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერული სტერეოტიპების გამოვლენა პოლიტიკოს ქალებისა და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლების მიმართ.[37] პროექტის ფარგლებში, საქართველოში წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში, სოციალურ მედიაში ქალი პოლიტიკოსების მიმართ გამოყენებული სექსისტური სიძულვილის ენის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება. გარდა ამისა, მზადდება მულტიმედიური მასალები, როგორიცაა მოკლე ვიდეო და ქვიზი სექსიზმის შესახებ, ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლების მიზნით. პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების “მედიის განვითარების ფონდის” და “საფარის” მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ხელმისაწვდომია: www.genderbarometer.ge

საფრანგეთი

განათლების სფეროში საფრანგეთის მაგალითი შესაძლებელია, ადაპტირდეს და გამოყენებული იქნას ადგილობრივი მმართველობის სფეროში. კერძოდ, ჰუბერტინ ოკლერის ცენტრი ახორციელებს სკოლის სახელმძღვანელოებში (ისტორია, მათემატიკა და ფრანგული ენა) სექსისტური შინაარსის მასალების ანალიზს. ამასთან, ცენტრს მომზადებული აქვს შეფასების ცხრილი და პრაქტიკული მითითებები სახელმძღვანელოების თანასწორობის ინსტრუმენტებად გამოყენების შესახებ. 2017 წლის ნოემბერში ცენტრმა შექმნა ვებ-გვერდი კიბერ-სექსიზმის წინააღმდეგ. სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრასა და პროგრესის მონიტორინგს ხელს უწყობს სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პოლიტიკისა და რესურსების შეფასების კუთხით.

ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართვის მსურველი პირების და კანდიდატების აღჭურვა სექსიზმთან ბრძოლის უნარებით

სექსიზმის გამო არაერთი ქალი თავს იკავებს ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართვისგან. აღნიშნულის დასაძლევად, კანდიდატებს უნდა ესმოდეთ, თუ დაცვის რა საშუალებებია მათთვის ხელმისაწვდომი. მათ, ასევე, უნდა ჰქონდეთ ნდობა, რომ ოფიციალური პირები მათ დაიცავენ და ინტერნეტ სივრცეში, თუ მის გარეთ, საზიანო ქმედებების ჩამდენ პირებს სანქციას დააკისრებენ. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს მიზნობრივ საინფორმაციო სესიებს, სოციალურ რეკლამებსა და ბრიფინგებს კამპანიის პერიოდებში. ამასთან, რეკომენდებულია სტრატეგიული კომუნიკაცია ოფიციალური პირების მხრიდან, რაც, მათ შორის, მოიცავს საარჩევნო ორგანოების, პოლიციისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების, ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ ნების და პოლიტიკის გამომხატველი განცხადებების გაკეთებას.

მენტორინგის პროგრამები ხელს უწყობს ცოდნის, გამოცდილების, პერსპექტივების და უნარების გაზიარებას ადგილობრივ მმართველობაში და ქალებს აძლევს ერთმანეთისგან სწავლისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობას. ნეთვორქინგის მსგავსად, მენტორინგი და სპონსორობის პროგრამები ითვალისწინებს ახალბედა ქალი ლიდერების დაწყვილებას კოლეგა ქალებთან ან კაცებთან, რომელთაც შესაბამის სფეროში უფრო მეტი გამოცდილება გააჩნიათ. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს სექსიზმთან ბრძოლას - კერძოდ, იგი ახლადარჩეულ ქალებს უზრუნველყოფს საჭირო ინსტრუმენტებითა და რესურსებით, მოვალეობების შევიწროების გარეშე განსახორციელებლად.

მაგალითები **ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართვის მსურველი პირებისა და კანდიდატების შესაძლებლობების განვითარება**

საქართველო

2016 წელს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) პირველად მიიღო გენდერული თანასწორობის პოლიტიკა. პოლიტიკა განსაზღვრავს ადმინისტრაციის მიდგომას გენდერული

თანასწორობისადმი და ორიენტირებულია არჩევნებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერებაზე, ინსტიტუციური პრაქტიკის დამკვიდრებასა და პროგრამების შემუშავებაზე, ასევე შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე.[38]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მისმა სასწავლო ცენტრმა გენდერული საკითხები შეიტანა რამდენიმე სასწავლო პროგრამაში, როგორიცაა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, „საარჩევნო განვითარების სკოლა“, ასევე, სემესტრული კურსი „საქართველოს საარჩევნო კანონი“.[39] უფრო მეტიც, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში, ცესკომ ჩაატარა მთელი რიგი ტრენინგები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პოტენციური ქალი კანდიდატებისთვის და გამოყო გრანტები 175,830 ლარის ოდენობით ცხრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციისათვის, ქალების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის წახალისების მიზნით.[40]

საქართველო

კამპანია „პოლიტიკაSHE“, რომელიც შეიქმნა საინიციატივო ჯგუფის „ქალები საქართველოდან“ მიერ, მიზნად ისახავს ქალთა პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას და გენდერული ბალანსის მიღწევას ყველა დონის სამთავრობო დაწესებულებებში. კამპანიის ფარგლებში მზადდება ისტორიები და ვიზუალური შინაარსის მასალები (მაგ. ვიდეო, ფოტო), სადაც სხვა საკითხებთან ერთად ქალი პოლიტიკოსები და აქტივისტები აზიარებენ თავიანთ გამოცდილებას სექსისტური სიძულვილის ენის შემთხვევებზე, ასევე მათ მოსაზრებებს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე.
ხელმისაწვდომია: www.womenofgeorgia.ge; www.facebook.com/womenofgeorgia.

უკრაინა

პოლიტიკაში ჩართული ქალებისათვის ლიდერთა რამდენიმე სკოლა არსებობს, რომელთა მიზანია სხვადასხვა სფეროსა და სექტორის წარმომადგენელი ქალი ლიდერების გაძლიერება, ახალი ცოდნითა და უნარებით აღჭურვა, მათი კარიერული განვითარება, პოლიტიკურ პარტიებში, სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში ქალთა წამყვანი როლის გაზრდა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების

პროცესში ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესება. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამა DOBRE-ს ფარგლებში (2017-2021) არსებული ქალი ლიდერების აკადემია, უკრაინის ქალთა პოლიტიკური ლიდერობის სკოლის ქალთა კავშირი, გენდერული კულტურის ცენტრის ქალთა ლიდერობის სტუდია და სხვა. 2019 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით 15 ოლქში ადგილობრივი საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი ქალებისათვის ლიდერობის სკოლა გაიმართა. სკოლებში ისწავლებოდა სტრატეგიულ დაგეგმვა, პროექტის მართვა, კომუნიკაციის და დებატების უნარები.[41]

პორტუგალია

პროგრამა „ქალებისგან ქალებს“ მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ქალების მონაწილეობის გაზრდას პოლიტიკაში. ასაკით უფროსი ქალები, რომლებიც პოლიტიკაში აქტიურად იყვნენ ჩართული, 15-დან 30 წლამდე ასაკის 30 ახალგაზრდა ქალის მენტორინგს ახორციელებდნენ. პროგრამის ხანგრძლივობა იყო 12 თვე და იგი, ასევე, ითვალისწინებდა ტრენინგს გენდერული თანასწორობის, დემოკრატიის, პოლიტიკური სისტემებისა და სხვა თემების შესახებ, ისევე, როგორც ვიზიტებს პოლიტიკურ ინსტიტუტებში. პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეთნიკური და კულტურული უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდა ქალების მონაწილეობას.[42]

კაცებთან თანამშრომლობა სექსიზმთან ბრძოლისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით

სექსიზმთან ბრძოლის ნებისმიერი ინიციატივის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს კონსტრუქციული ჩართულობა კაცებთან (მათ შორის, ახალგაზრდა კაცებთან). მნიშვნელოვანია ადგილობრივ მმართველობაში ჩართული კაცების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს საზიანო, სექსისტურ ქმედებებს, რათა ასეთ ქმედებებს თავი აარიდონ და მხარი დაუჭირონ გენდერულ თანასწორობას. შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები ხელს შეუწყობს სექსისტური ქცევისა და სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ერთობლივად ჩამოყალიბებასა და განხორციელებას.

ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმის კულტურის დაძლევის მიზნით, კაცებთან თანამშრომლობის პრაქტიკული ღონისძიებების მაგალითებია: ტრენინგი, დიალოგის ინიციატივები, მენტორინგის პროგრამები, რომელთა მიზანია პირადი მიკერძოების და სექსისტური ქცევის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი დაძლევის მიზნით შესაბამისი სტრატეგიების იდენტიფიცირება. ამ ინიციატივებს ორგანიზებას უწევენ სპეციალიზებული დაინტერესებული მხარეები (არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.) ან პირდაპირ ადგილობრივი ორგანოები. მსგავსად აღნიშნულისა, მიზნობრივი ტრენინგები და სხვა რეგიონებსა თუ ქვეყნებში სექსიზმზე რეაგირების შედარებითი კვლევები, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს იმ ადგილობრივ დონეზე არჩეული პირებისათვის (ქალები და კაცები), რომელთაც სურთ, ხელი შეუწყონ სექსიზმზე რეაგირების პოლიტიკის გაუმჯობესებას.

სწავლისა და განათლების გარდა, სექსიზმთან ბრძოლისა და თანასწორობის ინიციატივებში კაცების ჩართულობას ხელს შეუწყობს საერთო პარტიული შეთანხმებების ხელმოწერა ან ინდივიდუალური ვალდებულებების აღება, წამახალისებელ პროგრამებში და სექსიზმის ამოცნობის, საზიანო სიტუაციებზე რეაგირებისა და ინტერვენციის უნარების შესახებ ტრენინგებში მონაწილეობის მიღება. ამასთან, შესაძლებელია მენტორინგის პროგრამების გამოყენებაც - მაგალითად, ახლადარჩეული წარმომადგენლების (კაცების) მენტორინგი გენდერული თანასწორობისა და სექსიზმისგან თავისუფალი ადგილობრივი მმართველობის აქტიურად ხელშეწყობის გზებზე. „უკუ-მენტორინგი“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პოლიტიკაში აქტიური ქალების მიერ გენდერული სენსიტიურობის შესახებ ტრენინგების ჩატარებას რეგიონული ან ცენტრალური მმართველობის ორგანოს ოფიციალური პირებისთვის.

მაგალითები **სექსიზმთან ბრძოლა და თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით კაცებთან თანამშრომლობა**

გლობალურ დონეზე – Barbershop -ის ინიციატივა (HeForShe)

Barbershop-ის გლობალური ღონისძიებები ზრდასრულ და ახალგაზრდა კაცებს ეხმარება, აქტიურად ჩაერთონ გენდერული

თანასწორობის ხელშეწყობაში და გაიაზრონ, თუ როგორ ზღუდავს გენდერული უთანასწორობა ადამიანების, ბიზნესებისა და საზოგადოების შესაძლებლობას, სრულად მოახდინონ თავიანთი ადამიანური, ეკონომიკური ან სოციალური პოტენციალის რეალიზება. Barbershop-ის ღონისძიებები კაცებს უზრუნველყოფს უთანასწორობაზე რეაგირების და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ინსტრუმენტებით. აღნიშნული ითვალისწინებს ინსტრუმენტთა ფართო სპექტრს სამი სხვადასხვა მიმართულებით: 1. ლიდერობის სესიები, 2. სემინარები, 3. ჩართულობის გაზრდა. სამიზნეს წარმოადგენენ პოლიტიკაში სხვადასხვა დონეზე ჩართული, მათ შორის, მაღალ თანამდებობებზე მყოფი კაცები. ინსტრუმენტები და რესურსები ხელმისაწვდომია უფასოდ, ელექტრონულ ფორმატში: www.heforshe.org/en/barbershop

კარიბის ზღვის სახელმწიფოები

სხვადასხვა პარლამენტის წევრებმა შემდეგი კარგი პრაქტიკა განსაზღვრეს:

საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციები

- კანონმდებლობის და ბიუჯეტების შეფასება ინტერსექციური გენდერული პერსპექტივის გამოყენებით, მრავალფეროვან ჯგუფებზე მათი პოტენციური გავლენის განსაზღვრის მიზნით
- ისეთი კანონებისა და ინიციატივების ადვოკატირება, რომელიც პოზიტიურ გავლენას იქონიებს ქალებზე და ამ ინიციატივების მისაღებად საჭირო პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- შემოთავაზებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე უკუკავშირის მისაღებად ქალთა ჯგუფებთან კონსულტაცია, (არა მხოლოდ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით) და შედეგების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინტეგრირება

შეხვედრები (მათ შორის, საკომიტეტო, პლენარული და საკონსულტაციო)

- შეხვედრების თავმჯდომარის მიერ ყველა წევრის თანაბარი მონაწილეობის წახალისება (მაგალითად, მათ, ვისაც არ

უსაუბრიათ, თავმჯდომარე შესთავაზებს, გამოხატონ თავიანთი მოსაზრება)

- თითოეული ჯგუფის წარმომადგენლის პატივისცემით მოსმენა

ტრადიციული და ონლაინ მედია

- სოციალური მედიის გამოყენება გენდერული თანასწორობის დამცველების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და შესაბამის თემებზე დისკუსიებში ჩართვის მიზნით

- ონლაინ პლატფორმებზე ან მედიასთან ინტერვიუების დროს გამოვლენილ გენდერულ სტერეოტიპებთან და მიკერძოებასთან დაპირისპირება

ყოველდღიურ ცხოვრებაში

- გენდერული თანასწორობის ძირითადი საკითხების შესახებ ცოდნის მიღება და გაზიარება

- კაცების წახალისება, რათა გახდნენ მოკავშირეები სექსიზმთან ბრძოლაში

- გენდერულად მგრძნობიარე ენის გამოყენება (ე.ი. კომუნიკაციები, სადაც ქალების მიმართ პატივისცემა არის გამოხატული და მათ არ უგულვებელყოფს) და ყურადღების გამახვილება ყოველდღიურ საუბრებში საზიანო გამონათქვამების გამოყენებაზე. www.parlamericas.org/en/gender-equality.aspx

სტანდარტების დადგენა და გამჭვირვალობის ღონისძიებების შემოღება

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესისათვის კორუფციასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი ეთიკის ხელშეწყობის კუთხით გამჭვირვალობა და ღია მმართველობა პრიორიტეტს წარმოადგენს.[43] ღია მმართველობის პრინციპები პირდაპირ უკავშირდება მთავრობის ნებას, მოახდინოს სექსიზმზე რეაგირება და ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას. უფრო კონკრეტულად, ღია მმართველობა ზრდის ხელისუფლების

მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მხარს უჭერს მოქალაქეების მონაწილეობას, განაპირობებს ხელისუფლების კეთილსინდისიერებას და ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით ამ ქმედებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინფორმაციის, წვდომისა და მონაწილეობის კუთხით არსებული „გენდერული უფსკრულის" აღმოფხვრა და ქალების და გენდერული თანასწორობის მხარდამჭერების ჩართულობის გაზრდა სახელმწიფო სერვისების მიწოდებასა და ოფიციალურ პირებზე ანგარიშვალდებულების დაკისრების მხრივ.[44]

აღნიშნული საკითხები თანაბრად მნიშვნელოვანია ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებში სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციისთვის. ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ ძირითადი ინფორმაცია და დოკუმენტები, ხელი შეუწყონ საჯარო კონსულტაციის პროცესებს და მხარი დაუჭირონ იმ ღონისძიებების მონიტორინგსა და იმპლემენტაციას, რომელიც უკავშირდება დაწესებულებებში სექსიზმთან და სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლასა და ქალების პოლიტიკურ მონაწილეობას. საზიანო სექსისტური ინციდენტების პრევენციის მიზნით, შესაძლებელია ქცევის სტანდარტების შესახებ შეთანხმების მიღწევა და ფორმალურად დანერგვა. ქცევის ახალი სტანდარტების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ხელშეწყობისთვის მიზანშეწონილია ტრენინგის უზრუნველყოფაც.

მაგალითები

სტანდარტების დანერგვა

Open Government Partnership

გლობალურ დონეზე – ღია მმართველობის პარტნიორობა

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრია 78 ქვეყანა (საქართველოს ჩათვლით), ადგილობრივი მმართველობის არაერთ ორგანო (რომელიც ორ მილიარდზე მეტ ადამიანს წარმოადგენს) და ათასობით სამოქალაქო ორგანიზაცია. 2020 წლის აპრილში OGP-იმ დაიწყო ადგილობრივ მმართველობაზე ორიენტირებული პროგრამა - „OGP Local". OGP-ის რეკომენდაციის თანახმად, გენდერული

თანასწორობისა და სექსიზმის აღმოფხვრის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია მმართველობის ყველა დონეზე შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- ქალთა ორგანიზაციების, გენდერული ქსელებისა და ლიდერების წახალისება და პროაქტიულად მიწვევა მრავალმხრივ ფორუმებზე;

- გენდერული თანასწორობის მხარდამჭერებთან თანამშრომლობა მთავრობის სამოქმედო გეგმების გენდერული ანალიზის განხორციელების მიზნით, რათა დადგინდეს, თუ რომელ სფეროებში აქვთ განსხვავებული გენდერის წარმომადგენლებს არაპროპორციული წვდომა სერვისებზე ან პოტენციურ სარგებელზე. მიღებული ანალიზის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას OGP-ის ფარგლებში აღებულ კონკრეტულ ვალდებულებებში გენდერული საკითხების მეინსტრიმინგისთვის; და

- სერვისების ან პოლიტიკის სფეროში ქალებისა და გოგონების საჭიროებებზე რეაგირების მიზნით ახალი ინიციატივის შემუშავება ღია მმართველობის საშუალებით.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ OGP-ის სხვა რეკომენდაციები ხელმისაწვდომია აქ:

www.opengovpartnership.org/actions-for-a-more-inclusive-open-government-partnership/
ასევე, იხ.: www.opengovpartnership.org/ogp-local/

კანადა

კანადის ღია მმართველობის სამოქმედო გეგმაში გენდერი ცალსახად არის ინტეგრირებული. კერძოდ, კანადის მთავრობამ ჩაატარა ღია მმართველობის გეგმის გენდერზე დაფუძნებული ანალიზი (GBA+), რათა განესაზღვრა, თუ რა გავლენას ახდენს იდენტობის განმსაზღვრელი სხვადასხვა ურთიერთმკვეთი ფაქტორები კანადის მიერ ღია მმართველობის სფეროში განხორციელებული საქმიანობის ეფექტურობაზე. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, მრავალმხრივი პროცესის და ფემინისტური და ინკლუზიური

განხილვების შედეგად მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით, კანადის მთავრობამ წარმოადგინა ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული 10 ვალდებულება 2018-2020 წლებისთვის. იხ.: open.canada.ca/en/content/canadas-2018-2020-national-action-plan-open-government

რეგიონული და ეროვნული გენდერული თანასწორობის ქსელების გამოყენება

გენდერული ქსელები ძლიერი ინსტრუმენტია, რომელიც ადგილობრივ მმართველობაში ჩართულ ქალებს საშუალებას აძლევს,შეიმუშაონახალიიდეებიდაპერსპექტივებიროგორცსაერთო პრობლემებზე (მაგ.: სექსიზმი), ისე ამომრჩეველთა საჭიროებებზე რეაგირებისთვის. ასეთი ქსელები ქმნის კონსულტაციისა და კარიერული მხარდაჭერის ფორუმს და ადამიანებს განსხვავებული პერსპექტივების შეძენაში ეხმარება. მსოფლიოში ადგილობრივ დონეზე არჩეული ქალების ქსელის არაერთი მაგალითი არსებობს, მათ შორისაა ეროვნული ასოციაციები, რომლებიც მმართველობის რომელიმე დონის წარმომადგენელ ქალებს აერთიანებს (მაგალითად, ქალი მერების ეროვნული ქსელი) ან გეოგრაფიული არეალის მიხედვით შექმნილი ქსელები (მაგალითად, ქალი მერების ფორუმი სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში,[45] თანამეგობრობის ქსელი - ქალები ადგილობრივ მმართველობაში,[46] კანადის მუნიციპალიტეტების ფედერაცია[47] და ადგილობრივ დონეზე არჩეული ქალების ქსელი აფრიკაში - REFELA).[48]

მაგალითები **გენდერული თანასწორობის ქსელები**

საქართველო

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო გეგმავს პლატფორმის შექმნას პარტიათაშორისი თანამშრომლობისათვის, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ქალ პოლიტიკოსთა გაძლიერების და მხარდაჭერისათვის. კერძოდ, პლატფორმა მიზნად ისახავს

პოლიტიკოს ქალებს შორის თანამშრომლობისა და სოლიდარობის ფორმატის ჩამოყალიბებას, რათა უზრუნველყოს მათი მხარდაჭერა არჩევითი ორგანოს ყველა დონეზე; ძალადობისგან თავისუფალი წინასაარჩევნო გარემო; ხელი შეუწყოს მედიაში გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალ გაშუქებას; ასევე აამაღლოს ცნობიერება იმ კონკრეტული გამოწვევების შესახებ, რომლებსაც კანდიდატი ქალები აწყდებიან.[49]

საქართველო

2014 წელს შექმნილი „კოალიცია თანასწორობისთვის“ არის 11 არასამთავრობო ორგანიზაციის[50] არაფორმალური ალიანსი. კოალიცია მიზნად ისახავს ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმების მანდატისა და კომპეტენციების გაძლიერებას, ასევე დისკრიმინაციასთან, მათ შორის გენდერული დისკრიმინაციის ყველა ფორმასთან, ეფექტიან ბრძოლას.

ხელმისაწვდომია: www.equalitycoalition.ge

საქართველო

პლატფორმა „არა ფობიას“, რომელიც შეიქმნა 2014 წელს, აერთიანებს 13 არასამთავრობო ორგანიზაციას, რათა ხელი შეუწყოს მჭიდრო თანამშრომლობას დისკრიმინაციული გამონათქვამების და სიძულვილის ენის გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით, მათ შორის სექსისტურ ენაზე, ქართულ პოლიტიკასა და მედიაში. გარდა ამისა, პლატფორმა ორიენტირებულია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე სიძულვილის ენის საფრთხეებისა და ტოლერანტობის შესახებ.

ხელმისაწვდომია:: www.notophobia.ge

ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაცია

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედია და სხვა ახალი ტექნოლოგიები, შესაძლოა, გამოყენებული იქნას საზიანო სექსისტური გზავნილების გასავრცელებლად და გასაძლიერებლად, ისინი, ასევე, წარმოადგენენ ძლიერ ინსტრუმენტებს განათლებისა

და ცნობიერების ამაღლებისთვის. ვებინარები, ონლაინ შეხვედრები და კითხვა-პასუხის სესიები ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართულ ქალებს აძლევს როგორც გამოცდილების გაზიარების, ისე პოლიტიკაში ჩართულ ქალებზე სექსიზმის საზიანო გავლენის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობას. ასეთივე სასარგებლო ინსტრუმენტია პოდქასთები, რომელიც წარმოადგენს გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ აუდიტორიისათვის სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდების საშუალებას. პოდკასტების გამოყენება, ასევე, შესაძლებელია უფრო ვიწრო აუდიტორიაზე ფოკუსირების მიზნით - მაგალითად, ადგილობრივი ორგანოს წევრი/წევრობის მოსურნე ქალები და კაცი პოლიტიკოსები. საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხებზე სხვადასხვა პოდკასტების სერიები და მულტიმედიური მასალები არსებობს; ერთ-ერთი ასეთი მაგალითია «ფემინსტრიმი».[51] "ფემინსტრიმი", რომელიც „ქალთა ფონდისა" და ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის ერთობლივი პროექტია, ფოკუსირებულია გენდერული თანასწორობის სხვადასხვა სფეროზე, როგორიცაა შრომითი უფლებები, ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, სექსუალობა, ფემინიზმი და კულტურა, გენდერი და გარემოსდაცვითი სამართლიანობა და ა. შ.

მაგალითები **მმართველობაში სექსიზმის აღმოფხვრის მიზნით ახალი ტექნოლოგიების გამოყენება**

უკრაინა

გენდერული მუზეუმი: მუზეუმი, რომელიც ხარკოვში მდებარეობს, მოხმარებელს თავის ვებ-გვერდზე სხვადასხვა ინტერაქტიულ მასალებს სთავაზობს. მუზეუმის ონლაინ რესურსები შეიცავს ინფორმაციას უკრაინის გენდერული თანასწორობის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების თაობაზე, მასალებს ქალთა საერთაშორისო დღისა და სექსიზმთან ბრძოლის შესახებ, კვლევებსა და სხვა საჯარო ინფორმაციას.[52]

ევროპა

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ონლაინ არხი შეიცავს სხვადასხვა სახის სასარგებლო მასალებს სექსიზმის აღმოფხვრის შესახებ. რესურსები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენებზე და მათში წარმოდგენილია ინფორმაცია სექსიზმის თაობაზე, ვიდეოები, სტატისტიკური მონაცემები, მაგალითები და რეკომენდაციები. აღნიშნული არხი, ასევე, შეიცავს ინტერაქტიულ ქვიზს, რომელიც ამოწმებს მომხმარებელთა ცოდნასა და პერსონალურ აღქმებს სექსიზმის შესახებ. www.coe.int/en/web/human-rights-channel/stop-sexism

გლობალურ დონეზე

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში პოდკასტებს იყენებენ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის წასახალისებლად და სექსიზმის შესამცირებლად - მაგალითად, კანადური პოდკასტი, სახელწოდებით „მეორე შანსი არ იქნება“[53] 12 ქალი მინისტრის პოლიტიკურ მოგზაურობას ასახავს და მსმენელებს ეხმარება იმის გააზრებაში, თუ რა როლი ითამაშა გენდერმა მათი კარიერის საწყის და ყველაზე მაღალ ეტაპზე. „23%: საუბრები მთავრობაში მყოფ ქალებთან“ არის პოდკასტი, რომელიც ქალ ლიდერებთან ერთად განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რამ მისცა მათ არჩევნებში მონაწილეობის მოტივაცია, რა გამოცდილება მიიღეს ამ პროცესის მანძილზე და რა პოლიტიკური ბრძოლა ელით წინ.[54]

ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმთან ბრძოლის ინსტიტუციური გზები

საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ (2010) და საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (2014), ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილში ჩამოთვლილი სხვა ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტები, წარმოადგენს ძირითად ჩარჩოს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, მათ შორის ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმის წინაღმდეგ საბრძოლველად. ამ ჩარჩოს

პრაქტიკაში გამოყენება წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ასევე შესაძლებლობას ადგილობრივი მმართველობის გასაძლიერებლად. ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმთან ბრძოლის ინსტიტუციური უფლებამოსილებისა და მოვალეობების განსაზღვრას ეფექტური იმპლემენტაციისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ეს მოვალეობები და უფლებამოსილება შესაძლოა, დაეკისროს ერთ ან მეტ ინსტიტუციონალურ აქტორს. ამას გარდა, როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული, გარკვეული ზომები უნდა იქნას მიღებული პოლიტიკური პარტიების მიერ.

ეთიკის კოდექსი და სახელმძღვანელო მითითებები

ადგილობრივი მმართველობის ქცევის კოდექსი ადგენს ადგილობრივი ორგანოების წევრთა ქცევის სტანდარტებს - კერძოდ, კოლეგების, თანამშრომლებისა და საზოგადოების წინაშე ადგილობრივი მოხელეების ქცევის წესებს. ქცევის წერილობითი კოდექსი უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის წევრთა მიერ დასაშვები ქცევის საერთო პრინციპების გაზიარებას, აუმჯობესებს საზოგადოების ნდობას შესაბამისი დაწესებულებებისა და არჩეული პირების მიმართ.

როგორც წესი, ადგილობრივი ქცევის კოდექსების გარდა, ასევე, არსებობს შესაბამისი რეგიონული ან ეროვნული კანონმდებლობა ან პოლიტიკა. ზოგიერთ იურისდიქციებში (მაგალითად, ონტარიოს პროვინცია, კანადა[55]) ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს მოეთხოვებათ ქცევის კოდექსების შემუშავება ადგილობრივი მოხელეებისა და ორგანოებისათვის. ამასთან, შესაძლოა მოქმედებდეს გარკვეული მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რა საკითხებს უნდა არეგულირებდეს ასეთი კოდექსი - მაგალითად, სექსიზმს ან დისკრიმინაციას. ადგილობრივ დონეზე ქცევის კოდექსის დანერგვის მიზეზი, შესაძლოა, ასევე, იყოს არჩეული პირების ქცევასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების დარეგულირება, რომლებიც მთავრობის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სამსახურების მანდატის ფარგლებს სცდება. მეორეს მხრივ, მათი დანერგვა, შესაძლოა, მთავრობის ზედამხედველობის ფართო იერარქიის შემადგენელი ნაწილი იყოს.

ქცევის კოდექსი უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომელიც

უზრუნველყოფს ქალების და კაცების თანაბარ წარმომადგენლობას და ადგენდეს სახელმძღვანელო მითითებებსა და პრაქტიკას აკრძალულ სექსისტურ და დისკრიმინაციულ ქცევასთან დაკავშირებით. ეს მითითებები უნდა ითვალისწინებდეს არა-სისხლისსამართლებრივი სექსუალური შევიწროების, ზეწოლის, ბულინგის (მათ შორის, კიბერ-ბულინგის და სოციალური ბულინგის), სიძულვილის ენისა და უპატივცემულო ქცევის აკრძალვას. ქცევის კოდექსებში აუცილებელია აღნიშნული ქცევების გათვალისწინება, რადგან სწორედ ისინი ქმნიან მოძალადეებზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, ამაღლებენ საზოგადოებრივ ცნობიერებას და ხელს უწყობენ მრავალპარტიულ ერთიანობას ამ თემის გარშემო.

ქცევის კოდექსი, შესაძლოა, ასევე, შეიცავდეს წესებს გადაცდომის დადგენასთან ან კოდექსის აღსრულებასთან დაკავშირებით, ან სხვა დოკუმენტზე აკეთებდეს მითითებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ქცევის კოდექსი გამყარებულია კანონქვემდებარე აქტით, რომელიც ითვალისწინებს საჩივრების განხილვაზე და ქცევის კოდექსის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ანგარიშვალდებულების ოფიცრის თანამდებობის შექმნას ადგილობრივ დონეზე. ქცევის კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეთ როგორც საზოგადოების წარმომადგენლებს, ისე ადგილობრივი ორგანოს თანამშრომლებს ან სხვა წევრებს. ქცევის კოდექსი, შესაძლოა, ითვალისწინებდეს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საჩივრების წარდგენის შესაძლებლობას.

მაგალითები

ეთიკის კოდექსები და სახელმძღვანელო წესები

ევროპა

“ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ” ადგენს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ფორმალურ მოვალეობას, თავიანთი უფლებამოსილებისა და სხვებთან თანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყონ თანასწორობა მოსახლეობაში. აღნიშნული მოვალეობის იმპლემენტაციის მიზნით, მმართველობის თითოეული ორგანო, რომელიც ქარტიას აწერს ხელს, იღებს

ვალდებულებას, შეიმუშაოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს, ქმედებებს და რესურსებს. მხარეები, ასევე, იღებენ ვალდებულებას, ითანამშრომლონ ყველა დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან, თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში, რათა ხელი შეუწყონ რეალური თანასწორობის მიღწევას პრაქტიკაში. 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, 21 ქართული მუნიციპალიტეტი არის ქარტიის წევრი.

ხელმისაწვდომია: www.charter-equality.eu

კანადა

პროვინციის მთავრობა უზრუნველყოფს სხვადასხვა რესურსებს ადგილობრივი მმართველობების დასახმარებლად, კოდექსების შემუშავების კუთხით. აღნიშნული რესურსები მოიცავს მოდალურ დოკუმენტებსა და სახელმძღვანელოებს, ანგარიშებს პროვინციაში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და სხვა სასარგებლო მასალების ბმულებს.

ქცევის მოდალური კოდექსი: irp-cdn.multiscreensite.com/be9aba85/files/uploaded/MODEL_CODE_OF_CONDUCT_Aug2018_FINAL.pdf

ქცევის კოდექსის შემუშავების სახელმძღვანელო: irp-cdn.multiscreensite.com/be9aba85/files/uploaded/Companion_Guide_Aug2018_FINAL.pdf

ეთიკის რესურსები ადგილობრივი მმართველობისთვის: www2.gov.bc.ca/gov/content/governments/local-governments/governance-powers/conduct-of-locally-elected-officials/responsible-conduct

საქართველო

2017 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები, რომლის მიხედვითაც საჯარო მოხელემ თავი უნდა აარიდოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის ჩადენას, ასევე თავი შეიკავოს საჯაროდ სიძულვილის ენის გამოყენებისგან და/ან დისკრიმინაციული კომენტარების გაკეთებისგან. ასევე, წესები ითვალისწინებს სექსუალური შევიწროების აკრძალვას და თანასწორობის უზრუნველყოფას, თანაბარი შესაძლებლობების შექმნასა და სტერეოტიპებისგან

თავიდან აცილებას.[56] ერთ-ერთი საშუალება, სადაც პირს შეუძლია განაცხადოს ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ არის საჯაროს სამსახურის ბიუროს ონლაინ პორტალი Mkhileba.gov.ge. რამდენიმე მუნიციპალიტეტმა, როგორებიცაა მაგალითად, ბაღდათი და ვანი, მიიღეს საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, რომელიც ეხმიანება ზემოაღნიშნულ წესებს და მოიცავს თანასწორობის პრინციპს, დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების აკრძალვას.[57]

საქართველო

საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაუშვებელია პარლამენტის წევრების მიერ სექსისტური და დისკრიმინაციული გამოსვლები და ქმედებები. ეთიკის ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია უმრავლესობისა და ოპოზიციის დეპუტატებისგან.[58]

ანგარიშვალდებულების ოფიცერი და ეთიკის სტანდარტების საბჭო

ქცევის კოდექსის აღსრულებას, შესაძლოა, ზედამხედველობას უწევდეს ანგარიშვალდებულების ოფიცერი ან ეთიკის სტანდარტების საბჭო. მათ უნდა უზრუნველყონ ქცევის კოდექსის ყველა ნაწილის თანაბარი დაცვა, რაც, შესაძლოა, მოითხოვდეს დამატებით ტრენინგებს გენდერის შესახებ დებულებებთან დაკავშირებით, თუ ეს დებულებები კოდექსში მოგვიანებით შევიდა.

ანგარიშვალდებულების ოფიცრის თანამდებობა, როგორც წესი, კანონქვემდებარე აქტით არის გათვალისწინებული და სხვა დებულებებთან ერთად, იგი გენდერული თანასწორობის შესახებ დებულებების აღსრულებაზეა პასუხისმგებელი. მსოფლიოს მასშტაბით ანგარიშვალდებულების ოფიცრის ბევრი სხვადასხვა ტიპი არსებობს, მათ შორის:[59]

- *მუნიციპალური ომბუდსმენი:* მუნიციპალური ომბუდსმენის ფუნქციებში შედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის,

ადგილობრივი საბჭოებისა და გარკვეული მუნიციპალური კორპორაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, რეკომენდაციებისა და აქტების დამოუკიდებლად გამოძიება. მუნიციპალური ომბუდსმენის აპარატი გამოყოფილია ეროვნული და რეგიონული ომბუდსმენის აპარატისგან, რომელიც, შესაძლოა, გარკვეულ როლს ასრულებდეს ადგილობრივ მთავრობასთან მიმართებით;

- *დახურული შეხვედრის გამომძიებელი:* ადგილობრივმა მთავრობამ (მუნიციპალურმა ან სხვა ტიპის მთავრობამ), შესაძლოა, დანიშნოს გამომძიებელი, რომელიც დამოუკიდებლად გამოიძიებს დახურული შეხვედრების შესახებ საჩივრებს. ასეთი გამომძიებლის არ არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულ როლს შეასრულებს ომბუდსმენი;

- *კეთილსინდისიერების კომისარი:* კეთილსინდისიერების კომისარი ანგარიშვალდებულია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წინაშე. მისი როლი გულისხმობს ადგილობრივ მოხელეთა ქცევის კოდექსის და მასთან დაკავშირებული პროცედურების, წესებისა და ეთიკური ქცევის მარეგულირებელი პოლიტიკის დამოუკიდებლად გამოყენებას. კეთილსინდისიერების კომისარმა, შესაძლოა, გამოსცეს პერიოდული ანგარიშები ან გამოიძიოს გარკვეული საჩივრები. თუ კომისარი დაადგენს ქცევის კოდექსის დარღვევას, ადგილობრივმა საბჭომ, შესაძლოა, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, შესაბამის პირს დააკისროს სანქცია.

ანგარიშვალდებულების ოფიცრის ნაცვლად, არაერთ ქვეყანაში მოქმედებს სტანდარტების კომიტეტი ან საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ადმინისტრირებას, საჩივრების სწრაფად განხილვას და ადგილობრივ მმართველობას აწვდის სახელმძღვანელო მითითებებს ქცევის დასაშვებ სტანდარტებთან დაკავშირებით.[60] ამ მოდელის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები პერიოდულად (მაგალითად, წელიწადში ერთხელ) ირჩევენ სტანდარტების დამოუკიდებელ საბჭოს, რომელიც პოლიტიკური წარმომადგენლობით ხასიათდება და ადგილობრივ მრავალფეროვნებას (სქესი, რასა, რელიგია და სხვა) ასახავს.

სტანდარტების საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებები ადგილობრივი ორგანოს წევრების მიერ ქცევის კოდექსის ერთი ან მეტი დებულების სავარაუდო დარღვევის შესახებ, საჩივრებთან ან მცირე გადაცდომის შესახებ ბრალდებებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ საბჭოს საქმიანობა იყოს ეფექტური, უნდა არსებობდეს როგორც გარე, ისე შიდა აქტორების მიერ გასაჩივრების მკაფიო პროცედურები. სტანდარტების საბჭოს, შესაძლოა, ჰქონდეს სანქციების გამოყენების და ადგილობრივი ორგანოს წევრის უფლებამოსილების დროებით ან სამუდამოდ შეჩერების უფლება იმ შემთხვევაში, თუ საბჭო დაადგენს, რომ მათ ჩაიდინეს არა-სისხლისსამართლებრივი სექსუალური შევიწროება ან სხვა აკრძალული ქმედება. სტანდარტების საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს ზემდგომ ორგანოში (მაგალითად, ომბუდსმენის ოფისი) გასაჩივრებას.

მაგალითები **ანგარიშვალდებულების ოფიცრის და ეთიკის საბჭოს მაგალითები**

ავსტრია

2011 წელს, ავსტრიის სარეკლამო საბჭოში შეიქმნა საკონსულტაციო კომიტეტი სექსიზმის წინააღმდეგ, რომლის წევრებიც გენდერის კვალიფიცირებული ექსპერტები იყვნენ. საკონსულტაციო კომიტეტის მიზანი იყო სარეკლამო ინდუსტრიაში გენდერულ დისკრიმინაციასთან ბრძოლა და ცნობიერების ამაღლება.

2012 წელს კომიტეტში შევიდა 278 საჩივარი, საიდანაც ნახევარზე მეტი „გენდერულად დისკრიმინაციულ რეკლამას“ (53.41%) შეეხებოდა. კომიტეტმა აღნიშნული საჩივრები განიხილა და საკუთარი მოსაზრებები წარუდგინა ავსტრიის სარეკლამო საბჭოს. 13 საქმეში (7.39%) საბჭომ მოითხოვა კამპანიის დაუყოვნებლივ შეწყვეტა. მსგავსი მოდელის გამოყენება შესაძლებელია ადგილობრივი მმართველობის კონტექსტშიც

კანადა

ქალაქ ვონის (ონტარიო) კეთილსინდისიერების კომისარმა ქალაქის საბჭოს წარუდგინა ქცევის კოდექსის დარღვევის შესახებ საჩივართან

დაკავშირებით წარმოებული გამოძიების ანგარიში მას შემდეგ, რაც განიხილა მერის მოადგილისა და საბჭოს წევრის წინააღმდეგ აღძრული საჩივარი, სავარაუდო სექსუალურ ძალადობასთან, შევიწროებასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით (2017 წ.). კომისრის ანგარიში მიუთითებდა მუნიციპალიტეტის ქცევის კოდექსის იმ დებულებებზე, რომელიც კრძალავს სექსუალურ შევიწროებას, ახდენდა გამოძიების დოკუმენტირებას და შეიცავდა რეკომენდაციებს სანქციებთან (საყვედურის გამოცხადება და ხელფასის შეწყვეტა 90 დღის ვადით), მაკორექტირებელ ქმედებებთან (ბოდიშის მოხდა მომჩივნის და ქალაქის წინაშე) და ზოგიერთი პროცედურული უფლებამოსილების შეწყვეტასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში, მერის მოადგილე და საბჭოს წევრი თანამდებობიდან გადადგნენ.[61]

საქართველო

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია დამოუკიდებელი თვითრეგულირების ორგანოა, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად, იკვლევს ჟურნალისტების მიერ პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებს, ასევე, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ჟურნალისტების პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით. ქარტიის წესდების 11 დებულება შეესაბამება საერთაშორისო ჟურნალისტურ სტანდარტებს და განსაზღვრავს ქარტიის ყველა წევრისათვის ძირითად პროფესიულ პრინციპებს. მე-7 მუხლი კონკრეტულად შეეხება დისკრიმინაციის აკრძალვას და მიუთითებს, რომ ჟურნალისტებმა „უნდა გაწიონ ძალისხმევა, რომ თავიდან აიცილონ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოება ან სხვა ნიშნით”.

2017 წელს ქარტიამ მიიღო გენდერული საკითხების გაშუქების შესახებ სახელმძღვანელო წესები,[62] რომლითაც ქარტია მიუთითებს, რომ გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში დიდ როლს ასრულებს მედია და შესაბამისად, მის შესუსტებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს. ამრიგად, სახელმძღვანელო ემყარება რამდენიმე ძირითად პრინციპს, როგორიცაა მტკიცედ ფესვგადგმული გენდერული სტერეოტიპებისა

და გენდერული როლების აღმოფხვრა, სექსისტური ენის გამოყენებისას რეაგირება, ასევე გენდერული ბალანსის უზრუნველყოფა მასალების მომზადებისას. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს გენდერულ საკითხების გაშუქებაზე, შესაბამის საკანონმდებლო და პოლიტიკურ კამპანიებზე, საჯარო პირების და პოლიტიკოსების მიერ გენდერული სტერეოტიპების გამოყენების გამოვლენაზე, ქალებზე ძალადობაზე, სექსუალურ შევიწროებაზე, ასევე არჩევნებისას ქალთა წარმომადგენლობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობების განმტკიცება სექსიზმთან ბრძოლის კუთხით

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ასოციაცია ახმოვანებს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე არსებულ საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ დაკმაყოფილებას. ასეთ ასოციაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სექსიზმზე და შევიწროებაზე რეაგირების კუთხით - კერძოდ, შეაგროვონ სათანადო მონაცემები, მონიტორინგი გაუწიონ პროგრესს, აამაღლონ ცნობიერება, მოახდინონ სექსიზმთან ბრძოლის ინიციატივების ადვოკატირება, ადგილობრივ ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია პრობლემის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით და მათი წევრებისათვის დაადგინონ სტანდარტები. ხშირად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ასოციაციებს სჭირდებათ მხარდაჭერა შესაძლებლობების განვითარების კუთხით, რათა მათ შეძლონ აღნიშნული მიზნების მიღწევა.

მაგალითები **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ასოციაციის შესაძლებლობების განვითარება**

საქართველო

ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია (ათეა) შეიქმნა 2004 წელს, ევროპის საბჭოს და ევროპული კომისიის ერთობლივი ინიციატივით. ასოციაცია მიზნად

ისახავს ადგილობრივი დემოკრატიისა და დეცენტრალიზაციის ხელშეწყობას, და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის და ინსტიტუტების განვითარებას.

2018 წელს ათეა-მ შექმნა გენდერული თანასწორობის პლატფორმა. პლატფორმა მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე ქალებს და მამაკაცებს შორის თანასწორობის ხელშეწყობას და ასრულებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით თვითმმართველობის ორგანოებს შიგნით კოორდინაციის მექანიზმის ფუნქციას. 2018 წელს ათეა-მ მოახდინა გენდერული თანასწორობის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პირველი ეროვნული კონფერენციის ორგანიზება.[63]

2020 წელს ათეა-მ მიიღო გენდერული თანასწორობის პირველი სტრატეგია 2021-2025 წლებისათვის და სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების დახმარებას, ასევე გენდერული თანასწორობის ადგილობრივი პოლიტიკის და ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებას.[64] გარდა ამისა, ათეა-მ შეიმუშავა დეტალური გზამკვლევი გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების ხელშეწყობისათვის[65] და ატარებს ტრენინგ კურსებს მუნიციპალიტეტებისათვის, გენდერულ თანასწორობასა და გენდერულ მეინსტრიმინგზე.[66]

ხელმისაწვდომია: www.nala.ge

ავსტრალია

ქვინსლენდის ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელი პირების ასოციაცია (LGMA), რომელიც 1957 წელს შეიქმნა, მხარს უჭერს ადგილობრივი მმართველობების მიერ ადვოკატირებას, კოლაბორაციულ სწავლასა და პროფესიულ განვითარებას. LGMA-მ შექმნა მოქმედების ჩარჩო, რომელიც ადგილობრივ მმართველობაში გენდერული ბალანსის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. მოქმედების ჩარჩო შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტია და იგი შეიცავს ხედვას, სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და მექანიზმებს ადგილობრივი მმართველობების ორგანიზაციულ კულტურაში და ხელმძღვანელობაში და თავად LGMA-ში გენდერული ცნობიერების ინტეგრირებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია იმპლემენტაციის, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების სახელმძღვანელო ინსტრუმენტები.

ხელმისაწვდომია აქ: www.lgprofessionalswa.org.au/Documents/Gender%20Balance%20Framework/LGMA%20Gender%20Balance%20Framework_Nov2015_B.pdf

ომბუდსმენის როლი სექსიზმთან ბრძოლაში

საქართველოს სახალხო დამცველი არის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე.[67] იგი ავლენს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას.[68] სახალხო დამცველი შეისწავლის ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებს, როგორც მიღებული განცხადებების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით. მანდატის ფარგლებში, სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშებს ადამიანის უფლებების ყველა საკითხთან დაკავშირებით.[69]

საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს (NPM) წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის შესაბამისად (OPCAT). 2014 წელს იგი დასახელდა ეროვნულ ინსტიტუციად, რომელიც უზრუნველყოფს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებას, ხელშეწყობასა და დაცვას. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი არის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის დამოუკიდებელი მექანიზმი და წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის საშუალებას დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის. 2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა შექმნა ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი გენდერული ნიშნით მკვლელობების და თვითმკვლელობის მცდელობების გაანალიზების, მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების ხარვეზების დადგენისა და რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველს აქვს ცენტრალური ოფისი თბილისში და ცხრა რეგიონალური ოფისი. საქართველოს სახალხო დამცველს გააჩნია მრავალწლიანი პრაქტიკა, ჩაატაროს კონსულტაციები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რათა წარუდგინოს თავისი დასკვნები

და რეკომენდაციები. 2019 და 2020 წლებში ცენტრალური და რეგიონალური ოფისების წარმომადგენლებმა ჩაატარეს მრავალი შეხვედრა და ტრენინგი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, სექსუალური შევიწროების და სხვა ფორმის გენდერული დისკრიმინაციის, ქალთა ჩართულობისა და მონაწილეობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ა.შ.[70] გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველს შემუშავებული აქვს რამდენიმე ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ.[71]

მაგალითები სექსიზმის და სექსუალური შევიწროების შეჩერების მიზნით ომბუდსმენის მიერ განხორციელებული ქმედებები

საქართველო

2020 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა განიხილა 113 საჩივარი დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტებზე. საქმეების უმეტესობა (18%) ეხებოდა გენდერული დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტებს.[72] სახალხო დამცველმა ასევე გამოავლინა სექსიზმისა და გენდერული სტერეოტიპების მრავალი შემთხვევა, განსაკუთრებით, ქალი პოლიტიკოსების მიმართ. სახალხო დამცველი ხშირად აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ სექსიზმი გამოიყენება როგორც იარაღი პოლიტიკურ დებატებში და რომ მათ წინააღმდეგ დაპირისპირება სცდება პროფესიონალურ კრიტიკას და მიზნად ისახავს მათ დამცირებასა და შეურაცხყოფას.[73]

ხორვატია

ხორვატიაში არსებობს გენდერული თანასწორობის ომბუდსმენის აპარატი, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად და მონიტორინგს უწევს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონისა და სხვა რეგულაციების აღსრულებას. იგი, ასევე, წელიწადში ერთხელ ანგარიშს წარუდგენს ხორვატიის პარლამენტს. აღნიშნული ოფისის ინიციატივებს შორის აღსანიშნავია ხორვატიის რადიოსთან და

ტელევიზიასთან (HRT) თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც დანერგა სასწავლო პროგრამები რედაქტორებისთვის და ჟურნალისტებისთვის, მედიაში სტერეოტიპების და ისეთი კონტენტის აღკვეთის შესახებ, რომელიც ქალებს და კაცებს წარმოაჩენს სექსისტური, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ფორმით.

სანქციები, აღსრულება და დაცვის მექანიზმები

მიუხედავად იმისა, რომ "სექსიზმის" ტერმინი და განმარტება პირდაპირ არ არის ნახსენები საქართველოს კანონმდებლობაში, სექსიზმი ხვდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში ანტი-დისკრიმინაციული კანონი) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის სფეროში, რომლის მიხედვითაც აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია დისკრიმინაციის იძულებაზე, წახალისებაზე ან ხელშეწყობაზე. ამ მუხლის ინტერპრეტაცია და საქართველოს სახალხო დამცველის დამკვიდრებული პრაქტიკა[74] აჩვენებს, რომ საქართველოს კანონმდებლობით სექსიზმი განიხილება როგორც დისკრიმინაციის წახალისება.

ანტი-დისკრიმინაციული კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმაზე, ნებისმიერ ნიშნით, მათ შორის სექსიზმზე, რომელიც ჩადენილია საჯარო და კერძო პირების/დაწესებულებების მიერ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, კერძოდ, შრომითი და წინასწარი სახელშეკრულებო ურთიერთობები; სოციალური დაცვა და ჯანდაცვის პირობები, განათლება და საქონლისა და მომსახურების მიწოდება.[75] საქართველოს სახალხო დამცველი, ეროვნულ სასამართლოებთან ერთად, არის დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი. კანონი არ ადგენს ვადას საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე საჩივრის წარსადგენად; თუმცა, სახალხო დამცველს არ შეუძლია მიიღოს საჩივარი სექსიზმის სავარაუდო ფაქტებზე, რომელიც მოხდა 2014 წლის მაისამდე (ე.ი. ანტი-დისკრიმინაციული კანონის ამოქმედებამდე).

სექსიზმის აღმოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად, სახალხო დამცველს შეუძლია შეისწავლოს სექსიზმის სავარაუდო ინდივიდუალური ფაქტები საჩივრის საფუძველზე და/ან

საკუთარი ინიციატივით. შემდგომში, მე-6 მუხლის (2-გ) პუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველს შეუძლია ზოგადი წინადადებები გაუგზავნოს შესაბამის დაწესებულებას ან კერძო პირს/კომპანიას დისკრიმინაციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის საკითხებზე. საქართველოს სახალხო დამცველი ამ უფლებამოსილებიდან გამომდინარე აქტიურად ავრცელებს ოფიციალურ საჯარო განცხადებებს, სადაც გმობს სექსისტურ და დისკრიმინაციულ ენას.

რაც შეეხება სექსუალურ შევიწროებას, ის განსაზღვრულია ანტი-დისკრიმინაციული კანონით. კანონი ფარავს სექსუალურ შევიწროებას, რომელიც შეიძლება მოხდეს ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის საზოგადოებრივ ადგილებში. გარდა ამისა, სექსუალური შევიწროების განმარტება გვხვდება საქართველოს შრომის კოდექსში, რომელიც ასევე განსაზღვრავს საქართველოს შრომის ინსპექციის მანდატს სავარაუდო დისკრიმინაციის, მათ შორის სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე. გარდა ამისა, სექსუალური შევიწროება, რომელიც ხდება საზოგადოებრივ ადგილებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება. ასეთ შემთხვევებში, შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ სამართლებრივი დაცვის საშუალებას, საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად. ამრიგად, სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლებს აქვთ სამართლებრივი დაცვის რამდენიმე საშუალება, კერძოდ, სასამართლოები და/ან საქართველოს სახალხო დამცველი (ყველა სფეროში), საქართველოს შრომის ინსპექცია (შრომითი ურთიერთობა) და შინაგან საქმეთა სამინისტრო (საზოგადოებრივ ადგილებში მომხდარ შემთხვევებზე).

საზოგადოებრივ ადგილას ჩადენილი სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე გათვალისწინებულია სანქციები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს შრომის კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის ინსპექციას აქვს უფლებამოსილება სანქციები დაუწესოს იმ დამსაქმებლებს, რომლებიც არღვევენ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ინტერაქტიული

ონლაინ რუკა დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. ინტერაქტიული რუკა საშუალებას აძლევს პირებს, მოიძიონ სახელმწიფო სერვისები და ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დისკრიმინაციის შემთხვევებზე დახმარებას.[76]

სექსისტური ქცევის სამიზნე პირებისათვის ხელმისაწვდომი დაცვის მექანიზმები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მარტივ მაკორექტირებელ ღონისძიებებს, ისე სისხლის სამართლებრივ მართლმსაჯულებას, პრობლემის სიმწვავის შესაბამისად. წინამდებარე სახელმძღვანელო არ განიხილავს სისხლისსამართლებრივ დარღვევებს.

ზოგადად, სანქციებისა და გასაჩივრების პროცესის შემუშავებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რამდენიმე პრინციპი. კერძოდ, აკრძალული ქცევისთვის გათვალისწინებული სანქციები უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სიმძიმეს და მაქსიმალური სანქციის სახით ითვალისწინებდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წევრის თანამდებობიდან განთავისუფლებას. შედარებით მსუბუქი დარღვევები, შესაძლოა, დაექვემდებაროს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: ბოდიშის მოხდა, საჯარო საყვედური, ჯარიმა ან სასწავლო კურსის გავლა. იმისათვის, რომ სანქციები იყოს ეფექტური, უნდა არსებობდეს მკაფიო მითითებები სექსისტური ქცევის იდენტიფიკაციის შესახებ. აღნიშნულ მითითებებს, შესაძლოა, შეიცავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის რეგულაციები ან ქცევის კოდექსი. სანქციებს თანხმობას უნდა უცხადებდეს ქცევის კოდექსის ყველა ხელისმომწერი მხარე. აღსრულებას უნდა უზრუნველყოფდნენ კონკრეტული ინსტიტუტები, მათ შორის, ომბუდსმენის აპარატი და/ან ადგილობრივი ეთიკის საბჭო თუ ანგარიშვალდებულების ოფიცერი.

გარდა სანქციებისა, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშვალდებულების ადგილობრივი ან ცენტრალური მექანიზმი (მაგ. ომბუდსმენის აპარატი ან ეთიკის ადგილობრივი საბჭო) ითვალისწინებდეს დაცვის პროცედურებს ან კომპენსაციის შესაძლებლობას სექსიზმის სამიზნე პირებისთვის. ზოგადი ზიანის შემთხვევაში, დარღვეული უფლების (დისკრიმინაციისგან თავისუფლება ან პირადი ღირსების უფლება) აღდგენას, შესაძლოა, ჰქონდეს ფინანსური კომპენსაციის ფორმა. ამასთან, დაზარალებულს, შესაძლოა, ჰქონდეს სპეციფიური

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც - მაგალითად, დისკრიმინაციული ქცევის ან შევიწროების შედეგად დაკარგული თანხების, შესაძლებლობების ან სხვა დანაკარგების გამო.

სექსისტური დისკრიმინაციის მსხვერპლებისთვის, ასევე, გათვალისწინებულია არა-ფინანსური დაცვის მექანიზმები - კერძოდ, მოძალადის შემდგომი ქმედებებისგან დაცვა ან საჯაროდ ბოდიშის მოხდა. დაცვის მექანიზმების კიდევ ერთი კატეგორია უკავშირდება საჯარო ინტერესს და იგი გავლენას ახდენს ფართო საზოგადოებაზე, მათ შორის, იმ ადამიანებზე, რომლებიც, შესაძლოა, დაქვემდებარებოდნენ მსგავს დისკრიმინაციას. დაცვის აღნიშნული მექანიზმები, როგორც წესი, ითვალისწინებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას პრობლემის შესახებ, რათა საზოგადოებას უკეთ ესმოდეს სექსიზმის და დისკრიმინაციის საკითხი და მოხდეს ასეთი შემთხვევების პრევენცია. საჯარო ინტერესში შემავალი დაცვის მექანიზმების მაგალითებია: შიდა პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელება, რათა გაუმჯობესდეს დაცვა, ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების გასაჩივრების შიდა მექანიზმის შემუშავება/გაუმჯობესება, საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა ან ეთიკის კოდექსის საჯაროდ გამოქვეყნება, ადგილობრივი მმართველობის ოფისებში.

მაგალითები **ქცევის კოდექსის აღსრულების გამჭვირვალე პროცედურები**

კანადა

გასაჩივრების გამჭვირვალე და მისაწვდომი პროცედურები ხელს უწყობს ქცევის კოდექსის ეფექტურ აღსრულებას. ქალაქ ბარიში მოქმედებს მკაფიოდ გაწერილი პროცედურები ქცევის კოდექსის დარღვევის შესახებ საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით. ეს პროცედურები საჯაროდ არის გამოქვეყნებული და ითვალისწინებს შემდეგს:

არაფორმალური საჩივრები

ნებისმიერ პირს, რომელმაც ამოიცნო ან შეესწრო ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წევრის მიერ ისეთ ქცევას ან ქმედებას

ჩადენას, რომელიც, ერთი შეხედვით, კოდექსს ეწინააღმდეგება, უფლება აქვს, მოახდინოს შემდეგი რეაგირება:

- ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წევრს მიუთითოს, რომ მისი ქცევა კოდექსს ეწინააღმდეგება;
- სთხოვოს, შეწყვიტოს აკრძალული ქცევის ან ქმედების განხორციელება;
- გამოხატოს თავისი კმაყოფილება ან უკმაყოფილება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წევრის საპასუხო ქმედებასთან დაკავშირებით;
- გააკეთოს წერილობითი ჩანაწერი ინციდენტის შესახებ და მიუთითოს თარიღი, დრო, ადგილი, შემსწრე პირები და ნებისმიერი სხვა რელევანტური ინფორმაცია, მათ შორის, საკითხის გადასაჭრელად გადადგმული ნაბიჯები;
- თუ პირი უკმაყოფილოა არაფორმალური პროცესის შედეგით, მას უფლება აქვს, კეთილსინდისიერების კომისარს ფორმალური საჩივრით მიმართოს.

ფორმალური საჩივრები

ნებისმიერ პირს, რომელმაც ამოიცნო ან შეესწრო [ადგილობრივი მმართველობის ორგანოს] წევრის მიერ ისეთ ქცევას ან ქმედების ჩადენას, რომელიც, ერთი შეხედვით, კოდექსს ეწინააღმდეგება, უფლება აქვს, მოახდინოს შემდეგი რეაგირება:

- წარადგინოს ფორმალური საჩივარი შესაბამისი ფორმის/ წერილობითი ჩვენების გამოყენებით;
- საჩივარი უნდა შეიცავდეს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ეწინააღმდეგება წამოჭრილი საკითხი ქცევის კოდექსს. ამასთან, საჩივრის ფორმასთან/წერილობით ჩვენებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას ბრალდების დამადასტურებელი ნებისმიერი მტკიცებულება; საჩივარი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოწმეებისა და საქმის კონკრეტული გარემოებების შესახებ და მისი წარდგენა უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების კომისრის სახელზე.

კეთილსინდისიერების კომისარი განსაზღვრავს, თუ რას ეხება საჩივარში წამოჭრილი საკითხი - ქცევის კოდექსის დარღვევას თუ სხვა კოდექსების, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის ან დისკრიმინაციის და შევიწროების შესახებ კოდექსის დარღვევას.

სრულად იხილეთ აქ:
www.barrie.ca/City%20Hall/MayorCouncil/Documents/Code%20of%20Conduct%20Complaint%20Procedure%20-%2008%202019.pdf

ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფა

დაცვის მექანიზმების და წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სხვა ზომების ეფექტურობა მოითხოვს სათანადო დაფინანსებას ადგილობრივი მმართველობის მხრიდან. ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმზე მყარი ინსტიტუციონალური რეაგირება საჭიროებს შესაბამის ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. კერძოდ, საკმარისი რესურსების გამოყოფის გარეშე ადეკვატურად ვერ განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ანგარიშვალდებულების ოფიცრების დანიშვნა, ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება, ქცევის კოდექსის შემუშავება და მიღება, გამოძიება და ანგარიშვალდებულება.

ადგილობრივ მმართველობაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა კონკრეტული ღონისძიებების საშუალებით



მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივ მმართველობაში სექსიზმთან ბრძოლის კონკრეტულ სტრატეგიებზე, ასევე, მნიშვნელოვანია სექსიზმის გამომწვევ ძირითად მიზეზებთან ბრძოლა და ადგილობრივ მმართველობაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. წინამდებარე დოკუმენტის ბოლო ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს იმ ძირითად ღონისძიებებს, რომლებიც ადგილობრივ მმართველობაში გენდერულ თანასწორობას უწყობს ხელს.

დროებითი სპეციალური ზომების (TSM) მიღება

დროებითი სპეციალური ზომების (TSM) „მიზანი არის ქალების პოზიციის გაუმჯობესების დაჩქარება, რათა მიაღწიონ თავის დეფაქტო ფუნდამენტურ თანასწორობას კაცებთან და გავლენა მოახდინოს სტრუქტურულ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებზე, რაც აუცილებელია ქალების მიმართ დისკრიმინაციის წარსული და აწმყო

ფორმებისა და გავლენის გამოსასწორებლად და აგრეთვე მათთვის კომპენსაციის უზრუნველსაყოფად“.[77]

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე დადასტურებულია, რომ გენდერული კვოტები (TSM-ის ყველაზე ცნობილი ფორმა) ეფექტურია ადგილობრივ ორგანოებში ქალების წარმომადგენლობის გასაზრდელად. არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული კვოტების ორი ფორმა: კანდიდატების კვოტა და დაკავებული ადგილები. როგორც სახელიდან ჩანს, კანდიდატების კვოტა უზრუნველყოფს უფრო თანაბარ გენდერულ ბალანსს კანდიდატებს შორის, თუმცა, იგი არ უზრუნველყოფს სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას. დაკავებული ადგილები ითვალისწინებს მანდატების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის „დაკავებას“ ნაკლებად წარმოდგენილი სქესისთვის, რაც უზრუნველყოფს წარმომადგენლობის მინიმალური დონის მიღწევას.

კამპანიისა და ადვოკატირების ხანგრძლივი პროცესის შემდეგ, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა სავალდებულო გენდერულ კვოტებს.[78] 2024 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის, პოლიტიკური პარტიების სიები თავად პოლიტიკურმა პარტიამ უნდა განსაზღვროს იმგვარად, რომ სიის ყოველი მეოთხე იყოს საპირისპირო სქესის წარმომადგენელი. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, რომლებიც უნდა ჩატარდეს 2024 წლის შემდეგ, მაგრამ 2032 წლამდე, ასევე ზოგად მუნიციპალურ არჩევნებს, რომელიც უნდა ჩატარდეს 2028 წლამდე, სია უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ წარმოდგენილი სიის ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი იყოს საპირისპირო სქესის. ცესკო არ დაარეგისტრირებს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც არ შეასრულებენ კვოტირებით დადგენილ წესს. საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ოქტომბერში ჩატარდა ახლად შემოღებული სავალდებულო კვოტების შესაბამისად.

საქართველოში სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღებამდე, ქალთა გენდერული ბალანსისა და პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, 2011 წელს მიღებული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ითვალისწინებდა დამატებით 10% ფინანსურ სარგებელს იმ პოლიტიკური პარტიებისათვის, რომელთა სიაშიც საპირისპირო სქესი იყო წარმოდგენილი სულ მცირე 20%-ით, ყოველ 10 კანდიდატს შორის. 2013 წელს დამატებითი ფინანსური სარგებელი გაიზარდა 30%-მდე, თუ პოლიტიკური პარტიების პირველი, მეორე და მომდევნო ათეულში სულ მცირე 30% იყო საპირისპირო

სქესის წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ ქალი კანდიდატების ხელშეწყობის მიზნით პარტიების ფინანსური წახალისება ზოგიერთ ქვეყანაში სასარგებლო აღმოჩნდა, საქართველოში ამ დებულებებმა მნიშვნელოვნად ვერ შეუწყო ხელი ქალების პოლიტიკურ მონაწილეობის ზრდას.[79]

კვოტები TMS-ის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ქალთა წარმომადგენლობის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. ამავე მიზანს ემსახურება შემდეგი მიდგომები:

- სპეციალური მედია და ადვოკატირების კამპანიები;
- შესაძლებლობების განვითარების პროგრამები ქალი კანდიდატებისა და არჩეული მოხელეებისათვის;
- ქალი კანდიდატების კამპანიის დაფინანსება;
- ნებაყოფლობითი პარტიული კვოტები.

სხვა სტრუქტურული რეფორმები და პოლიტიკა

საარჩევნო კანონმდებლობასა და სისტემებში ცვლილებების შეტანის გარდა, ადგილობრივ დონეზე შესაძლებელია სხვადასხვა ინიციატივების განხორციელება, გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისა და სექსიზმთან ბრძოლის მიზნით. ეს ინიციატივებია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების, ისე ეროვნული ან რეგიონული ორგანოების მიერ მიღებული ზომები, კერძოდ:

უფლებამოსილების ვადების შემოღება. უფლებამოსილების ვადების განსაზღვრა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში ახალი წევრების გამოჩენას და გაათავისუფლებს სივრცეს, რომლის დასაკავებლადაც ქალებს შეეძლებათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. უფლებამოსილების ვადა უნდა იყოს იმ ხანგრძლივობის, რაც მოქმედ წევრებს თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს.

გენდერულად თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნა. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს დეკრეტული პროგრამების დანერგვას, ბავშვებზე ზრუნვის უზრუნველყოფას ან

შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წევრებისთვის, სამუშაო ადგილზე ტექნოლოგიების გამოყენების გაუმჯობესებას და შეხვედრის დროების გადახედვას (შეხვედრების საღამოს გამართვის გამორიცხვას), რათა ოჯახური მოვალეობების მქონე წევრებს შეხვედრებზე დასწრების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ხელმძღვანელ თანამდებობებთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიღება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კომიტეტებში და ხელმძღვანელ თანამდებობებზე თანაბარ გენდერულ წარმომადგენლობას.

პროაქტიული რეკრუტმენტი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ არჩევნების დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ გენდერულად დაბალანსებული რეკრუტმენტი, რაც თანაბარ წარმომადგენლობას წაახალისებს. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს ცნობიერების ასამაღლებელ და ინფორმაციულ სესიებს.

საკონტაქტო პირი გენდერის საკითხებზე. ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერის საკითხებზე საკონტაქტო პირის გამოყოფა ან მრავალფეროვნების კომიტეტის შექმნა ხელს შეუწყობს მონიტორინგს და ახალ ინიციატივებს.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი ითვალისწინებს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალიტეტებში გენდერის საკონტაქტო პირების დანიშვნას. საკონტაქტო პირები დანიშნულია მერის მიერ, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში.[80] მათი მოვალეობები მოიცავს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობას, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, ასევე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას და კოორდინაციას. გენდერის საკონტაქტო პირების გარდა, რომელიც დაკავშირებულია

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის ასევე განსაზღვრავს საკრებულოებში გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნას. გენდერული თანასწორობის საბჭოების ძირითადი მიზნებია მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე თანმიმდევრული, სისტემატური მუშაობა და კოორდინაცია საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან. ორივე ადგილობრივი მექანიზმი მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის განმტკიცებას ადგილობრივ დონეზე; თუმცა, გამოწვევად რჩება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი რეალური ჩართულობის ხარისხის, მგრძნობელობა და შესაძლებლობების ნაკლებობა.[81]

ტრენინგი. რეგულარული ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებისთვის, როგორც ონლაინ, ისე პირისპირ ფორმატში, გააუმჯობესებს მათ მიერ სექსიზმის ამოცნობისა და მასთან ბრძოლის შესაძლებლობას. ამასთან, წევრები უკეთ შეძლებენ ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს უწყობს თანასწორობას როგორც საზოგადოებაში, ისე შესაბამის დაწესებულებაში.

გენდერულად ინკლუზიური ენის გამოყენება საჯარო დოკუმენტებში. ევროკავშირის განმარტების თანახმად, გენდერულად ინკლუზიური ენა არის „ზოგადი ტერმინი, რომელიც მოიცავს არა-სექსისტური, ინკლუზიური და გენდერულად სამართლიანი ენის გამოყენებას. გენდერულად ნეიტრალური ენის მიზანია ისეთი სიტყვების თავიდან აცილება, რომელიც შესაძლოა აღქმული იქნას, როგორც მიკერძოებული, დისკრიმინაციული ან დამამცირებელი, ვინაიდან იგი მიუთითებს, რომ ერთი სქესი ან სოციალური გენდერი არის ნორმა. გენდერულად სამართლიანი და ინკლუზიური ენის გამოყენება, ასევე, ხელს უწყობს სტერეოტიპების შემცირებას, სოციალურ ცვლილებებს და გენდერული თანასწორობის მიღწევას.”[82] გენდერულად ინკლუზიური ენის პრინციპი გამოყენებული უნდა იქნას საჯარო დოკუმენტებსა და შიდა პოლიტიკასა და კომუნიკაციაში, მმართველობის ყველა დონეზე. მაგალითად, საბერძნეთში

გენდერული თანასწორობის გენერალურმა სამდივნომ (GSGE) შეიმუშავა საჯარო დოკუმენტებში გენდერულად ინკლუზიური ენის გამოყენების შესახებ სახელმძღვანელო. მსგავსად აღნიშნულისა, არა-სამთავრობო ორგანიზაციამ კვიპროსში ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოამზადა ბუკლეტი/სახელმძღვანელო, რომელიც სახელმწიფო სერვისების დოკუმენტებში სექსისტური ენის გამოყენების აღმოფხვრის მიზანს ემსახურება. აღნიშნული ინფორმაცია გაზიარებული იქნა გენდერული თანასწორობის კომისრის ოფისის და ქალთა უფლებების ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებულ სემინარებზე. [83]

დამატებითი მაგალითებისთვის, იხ.:
Gender in Local Government: A Sourcebook for Trainers (United Nations Human Settlements Programme, 2008) www.un.org/womenwatch/directory/pdf/Source_BK_9-May.pdf
Manual for Gender Equality at The Local Level. (OSCE 2015). www.osce.org/bih/216636

დასკვნა

ადგილობრივ თვითმმართველობაში სექსიზმის დასრულება საჭიროებს კონცენტრირებულ ძალისხმევას ადგილობრივ დონეზე არჩეული წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების, სამართალდამცავი ორგანოებისა და რეგიონული თუ ცენტრალური მმართველობის ორგანოების მხრიდან. სანდო მონაცემებზე, მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებსა და პრობლემის არსის შესახებ საერთო წარმოდგენებზე დაყრდნობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეძლებენ, მიიღონ სხვადასხვა სტრატეგიები ადგილობრივ პოლიტიკაში არსებული სექსიზმის დაძლევისა და გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობის მიმართულებით.

სექსიზმის აღმოსაფხვრელად ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შეიმუშაონ ადეკვატური სტრუქტურები და პოლიტიკა და ხელი შეუწყონ თანასწორობას თავიანთ ინსტიტუციებში. ანგარიშვალდებულების კუთხით საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფა უზრუნველყოფს აღებული ვალდებულებების პრაქტიკაში განხორციელებასა და აღსრულებას. გამჭვირვალე პრაქტიკის უზრუნველყოფით და გენდერულად ინკლუზიური ინსტიტუციონალური კულტურის შექმნის გზით, ადგილობრივი თვითმმართველობები შეძლებენ, გაზარდონ საზოგადოების ნდობა და უფრო წარმატებით შეასრულონ თავიანთი როლი.

გამოყენებული წყაროები

[1] საქართველოსთვის ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2020 – 2023, ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/16809c3f62.

[2] ევროპის საბჭო, რეზოლუცია 459 (2020) „ადგილობრივ და რეგიონულ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ სექსისტური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა", ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/1680a061c3.

[3] ევროპის საბჭო, რეკომენდაცია 449 (2020) „ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ქალთა მიმართ სექსისტურ ძალადობასთან ბრძოლა პოლიტიკაში", ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/1680a061c3.

[4] ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 წევრი სახელმწიფოების მიმართ, სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/168093b26a

[5] Ibid.

[6] iKnow Politics. ელექტრონული დისკუსია ქალთა მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებაში, თებერვალი - მარტი 2018, ხელმისაწვდომია აქ: https://www.iknowpolitics.org/en/discuss/e-discussions/womens-participation-local-government

[7] საპარლამენტთაშორისო კავშირი, ხელმისაწვდომია აქ: https://data.ipu.org/women-ranking?month=6&year=2021

[8] გაეროს განვითარების პროგრამა, განვითარების ანგარიში 2020, გვ. 353, http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr2020.pdf, ასევე, იხ., http://hdr.undp.org/en/countries/profiles/GEO#; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური გენდერული გეფი ანგარიში 2020, გვ. 167. ხელმისაწვდომია აქ: ხელმისაწვდომია აქ: http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2020.pdf

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გენდერული კვოტები, როგორც დროებითი ღონისძიება, არაკონსტიტუციონალურად ცნო, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება No 3/3/1525, 2020 წლის 25 სექტემბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003418?publication=0

[10] ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, „გენდერული ბალანსის ანგარიში". ქალთა პროცენტი ეროვნულ პარლამენტებში, მდგომარეობა 2019 წლის 1 თებერვლისთვის, ხელმისაწვდომია აქ: https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/3868-2019-annual-session-report-by-the-special-representative-on-gender-issues-eng/file.

[11] ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, „გენდერული ბალანსის ანგარიში“. ქალთა პროცენტი ეროვნულ პარლამენტებში, მდგომარეობა 2019 წლის 1 თებერვლისთვის, ხელმისაწვდომია აქ: https://www.oscepa.org/documents/special-representatives/gender-issues/report-17/3868-2019-annual-session-report-by-the-special-representative-on-gender-issues-eng/file

[12] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, “2017 წლის თვითმმართველი თემის მერის არჩევნების გენდერული სტატისტიკა”, ხელმისაწვდომია აქ: http://cesko.ge/statistic/themes/files/en/November%2012%202017%20II%20Round_Gender%20Statistics.pdf.

[13] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია „2021 წლის ადგილობრივი არჩევნების გენდერული სტატისტიკა“, ხელმისაწვდომია აქ: https://genderstatistics.cec.gov.ge/ge/gender?tour_id=21&election_subject_category_ids%5B%5D=2

[14] ხელმისაწვდომია აქ: https://sdgs.un.org/goals.

[15] ქალთა სტატუსის კომისია (CSW) არის მთავარი გლობალური მთავრობათაშორისი ორგანო, რომელიც ექსკლუზიურად ეძღვნება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას და ქალთა გაძლიერებას. ის არის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) ფუნქციური კომისია, რომელიც შეიქმნა ECOSOC-ის 1946 წლის 21 ივნისის 11(II) დადგენილებით.

[16] ევროპის საბჭო, ბრძოლა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ქალთა მიმართ პოლიტიკაში სექსისტურ ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკაში, ანგარიში CG-FORUM(2020)02-04, ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/1680a061c3.

[17] გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრები არიან როგორც პარლამენტის წევრები მამაკაცები, ასევე ქალები. საბჭო მხარს უჭერს გენდერული თანასწორობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გამოვლენას, უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზის შექმნას და განვითარებას, განიხილავს და ამტკიცებს შესაბამის სტრატეგიებს, აკონტროლებს საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას. ასევე ამაღლებს ცნობიერებას გენდერული თანასწორობის შესახებ. იხილეთ: გენდერული თანასწორობის მუდმივი საპარლამენტო საბჭოს დებულება, მუხლი 2, ხელმისაწვდომია აქ: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/genderuli-debuleba.pdf.

[18] უწყებათაშორისი კომისია შედგება 22 სახელმწიფო უწყებისგან, მათ შორისაა სამინისტროები, საქართველოს გენერალური პროკურატურა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, საჯარო სამსახურის ბიურო და სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იგი ხელს

უწყობს სახელმწიფო ორგანოებისთვის დაკისრებული მოვალეობებისა და ფუნქციების ეფექტურად განხორციელებას და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას.

[19] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ კანონი, მე-3 მუხლი

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გენდერული კვოტები, როგორც დროებითი ღონისძიება, არაკონსტიტუციონალურად ცნო, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება No 3/3/1525, 2020 წლის 25 სექტემბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003418?publication=0.

[21] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 203.

[22] სამოქმედო გეგმა ადამიანის უფლებათა შესახებ, მიზნები: 12.5.1. & 12.5.2; ხელმისაწვდომია აქ: http://myrights.gov.ge/en/plan/Human%20Rights%20Action%20Plan%20for%202018-2020?sphere=752&goal=757&task=812.

[23] საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისთვის, გვ. .2, ხელმისაწვდომია აქ: https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/the%202018-2020%20national%20action%20plan%20of%20georgia%20eng.pdf?la=en&vs=853.

[24] ადაპტირებულია: Canadian Union of Public Employees (CUPE), Stop Harassment: A Guide for CUPE Locals, 2017 წლის 14 აგვისტო. ხელმისაწვდომია აქ: https://cupe.ca/stop-harassment-guide-cupe-locals-1

[25] UNDP, "კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება", თბილისი 2020, გვ. 5, ხელმისაწვდომია აქ: https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/gender-survey-report.html

[26] 2020 წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, სოციალურ მედიაში გამოვლინდა სექსისტური სიძულვილის ენის / გენდერული სტერეოტიპების გამოყენების სულ 308 შემთხვევა, იხ. UNDP, "საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში", გვ.11, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/36o6Icm

[27] UNDP, "საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში", გვ. 23, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/36o6Icm ; საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ, გვ.186

[28] UNDP, "საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში", 2020, გვ. 10

[29] UNDP, "საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში", 2020, გვ. 22

[30] საქართველოს სახალხო დამცველი, "საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ", გვ. 45-46, ხელმისაწვდომია აქ: https://ombudsman.ge/res/docs/2021050611590027208.pdf; ასევე, იხ., "2019 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ", გვ. 32-33, ხელმისაწვდომია აქ: https://ombudsman.ge/res/docs/2020030416283364211.pdf; ასევე, იხ. "2018 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ", გვ. 17-18, ხელმისაწვდომია აქ: http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042317142950340.pdf

[31] თანასწორობის ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელო და შაბლონი, რომელიც შემუშავებულია UKRI-ის მიერ. ხელმისაწვდომია აქ: https://bbsrc.ukri.org/documents/equality-impact-assessment-guidance-template-pdf/

[32] ქ. ჟიტომირის საბჭო. ხელმისაწვდომია აქ: http://zt-rada.gov.ua/files/upload/sitefiles/img1531136603.jpg

[33] ქ. ჟიტომირის საბჭო. ხელმისაწვდომია აქ: http://zt-rada.gov.ua/?3506[0]=254

[34] ხელმისაწვდომია აქ: https://genderstatistics.cec.gov.ge/en ; https://cesko.ge/eng/list/show/122037-genderuli-portalis-prezentatsia.

[35] ხელმისაწვდომია აქ: http://geostat.ge/gender/index.php?lang=ka.

[36] Equality Act 2010, 11:1. 2012 წლის 19 ნოემბერს ყოფილმა პრემიერ მინისტრმა, დეივიდ კამერონმა ბრიტანული ინდუსტრიის კონფედერაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე ისაუბრა და გამოაცხადა, რომ სახელმწიფო უწყებებს EIA-ს განხორციელება აღარ მოეთხოვებათ, თუმცა, არაერთი რეგიონი მას კვლავ იყენებს ნებაყოფლობით..

[37] UNDP, "საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში", გვ. 5, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/36o6Icm

[38] ხელმისაწვდომია აქ: https://cesko.ge/eng/list/show/108609-saarchevno-administratsiis-genderuli-tanastsorobis-politika.

[39] ცესკო, 2019 წლის ანგარიში, გვ. 80, ხელმისაწვდომია აქ: http://electionreforms.ge/geo/attachment/10/angarishebi

[40] ცელსკო, 2020 წლის ანგარიში, გვ. 50, ხელმისაწვდომია აქ: http://electionreforms.ge/res/docs/20210525174121AnnualReport-20202.pdf

[41] ქალთა ლიდერობის აკადემია (DOBRE პროგრამა). ხელმისაწვდომია აქ: https://www.uwf.org.ua/project_activities/academydobre

[42] გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი. "ახალგაზრდა ქალები პოლიტიკაში: პროექტი "ქალიდან ქალამდე" (პორტუგალია)". გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი, 2015, ხელმისაწვდომია აქ: https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/good-practices/portugal/bringing-young-women-politics-project-woman-woman

[43] ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი, მმართველი კომიტეტი. ანგარიში CG35(2018) გამჭვირვალობისა და ღია მმართველობის შესახებ, 2018 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://rm.coe.int/transparency-and-open-government-governance-committee-rapporteur-andre/16808d341c

[44] „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ვებსაიტი. ხელმისაწვდომია აქ: https://www.opengovpartnership.org/

[45] სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ადგილობრივ ხელისუფლებათა ასოციაციების ქსელი (NALAS), 2019, ხელმისაწვდომია აქ: http://www.nalas.eu/Event/Details/Forum19

[46] თანამეგობრობის ქსელი „ქალები ადგილობრივ მმართველობაში“ (2020), ხელმისაწვდომია აქ: https://www.clgf.org.uk/what-we-do/women-in-local-government/

[47] კანადის მუნიციპალიტეტების ასოციაცია. https://fcm.ca/en/programs/women-in-local-government

[48] აფრიკის ქალაქების და ადგილობრივი მმართველობების გაერთიანება (UCLG Africa). https://www.uclga.org/

[49] ხელმისაწვდომია აქ: https://parliament.ge/media/news/parlamentshi-tsentralur-da-adgilobriv-doneze-kali-politikosebis-gadzlierebis-da-mkhardacheris-platforma-sheikmneba

[50] ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF); სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი ადამიანის უფლებათა განათლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC); უფლებათა საქართველო; კავშირი საფარი; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია); ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG); პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR); საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI);

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI); ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC); თანასწორობის მოძრაობა.

[51] ქალთა ფონდის და ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის ერთობლივი პროექტი, ჩანაწერები, ხელმისაწვდომია აქ: https://womenfundgeorgia.org/ka/Feminstream/Topics

[52] გენდერისმუზეუმი, ხელმისაწვდომიაააქ: https://www.genderculturecentre.org/muzey-zhinochoi-ta-gendernoi-istorii-gendermuseum/

[53] პოდკასტი „მეორე შანსი არ იქნება“, ხელმისაწვდომია აქ: https://nosecondchances.ca/the-podcast/

[54] მმართველობის პოდკასტი. ხელმისაწვდომია აქ: https://www.governing.com/23-percent-podcast

[55] ონტარიოს მუნიციპალიტეტის საქალაქო საბჭოს წევრის სახელმძღვანელო, (2018), ხელმისაწვდომია აქ: https://www.ontario.ca/document/ontario-municipal-councillors-guide-2018/2-accountability-and-transparency

[56] საქართველოს მთავრობის დადგენილება N 200 “საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ”, მუხლები 11(3), 14, 15, ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=0

[57] ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქცევის კოდექსი, მუხლები 14 და 15, ხელმისაწვდომია აქ: https://www.baghdati.gov.ge/wp-content/uploads/2021/06/baghdathis-munitsipalitetis-ethikis-kodeqsi-bolo-varianti-gvantsa.pdf; ვანის მუნიციპალიტეტის ქცევის კოდექსი, მუხლები 14 და 15, ხელმისაწვდომია აქ: https://vani.gov.ge/wp-content/uploads/2021/01/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98.pdf .

[58] საქართველოს პარლამენტის წევრის ქცევის კოდექსი, მუხლები 3(ო) და 4(2), ხელმისაწვდომია აქ: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/komisia/etikis-sabcho/ENG-etikis-kodeqsi.pdf

[59] ადაპტირებულია: ონტარიოს მუნიციპალიტეტის საქალაქო საბჭოს წევრის სახელმძღვანელო, 2018, ხელმისაწვდომია აქ: https://www.ontario.ca/document/ontario-municipal-councillors-guide-2018/2-accountability-and-transparency

[60] დასავლეთ ავსტრალიის მთავრობა, ადგილობრივი მმართველობის სტანდარტების პანელი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.dlgsc.wa.gov.au/local-government/local-governments/compliance-and-governance/local-government-standards-panel

[61] კეთილსინდისიერების კომისრის ქცევის კოდექსის საჩივრის გამოძიების ანგარიში #011717(F) მერის მოადგილის მაიკლ დი ბიასის მიმართ. ხელმისაწვდომია აქ: https://www.vaughan.ca/council/minutes_agendas/AgendaItems/SPCW0523_17_1.pdf

[62] ხელმისაწვდომია აქ: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/34573-genderuli-sakithkhebis-gashuqeba

[63] ხელმისაწვდომია აქ: http://nala.ge/post/203183--atea-s-genderuli-platforma-tvitmmartvelobebsi-qalta-da-mamakacta-tanasworobis-sakitxebis-koordinacias-ganaxorcielebs-

[64] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ გენდერული თანასწორობის პირველი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა“, ხელმისაწვდომია აქ: https://georgia.unwomen.org/en/news/stories/2021/01/national-association-of-local-authorities-in-georgia-adopts-gender-equality-strategy-and-action-plan.

[65] ინფორმაცია ხელმისაწვდომია NALAG-ის გვერდზე სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/media/set/?vanity=TheNationalAssociationofLocalAuthoritiesofGeorgia&set=a.4059290050793044

[66] ინფორმაცია ხელმისაწვდომია NALAG-ის გვერდზე სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/media/set/?vanity=TheNationalAssociationofLocalAuthoritiesofGeorgia&set=a.4111297432258972; https://www.facebook.com/media/set/?vanity=TheNationalAssociationofLocalAuthoritiesofGeorgia&set=a.4074412485947467

[67] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35(1).

[68] სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლები 3(1) და 3(2).

[69] სახალხო დამცველის ყველა ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ხელმისაწვდომია აქ: http://ombudsman.ge/eng/saparlamento-angarishebi

[70] 2020 წელს, სახალხო დამცველის რეგიონულმა ოფისმა 618 შეხვედრა გამართა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან; 2019 წელს სახალხო დამცველის ოფისმა ჩაატარა 286 ტრენინგი და 711 საინფორმაციო შეხვედრა. წყარო: სახალხო დამცველის „2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ. 9 და „2019 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”, გვ. 311, 364 და 406.

[71] ხელმისაწვდომია აქ: https://ombudsman.ge/geo/elektronuli-kursebi

[72] საქართველოს სახალხო დამცველი, „სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, 2020, გვ. 52-53, ხელმისაწვდომია აქ: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021050611590027208.pdf

[73] საქართველოს სახალხო დამცველი, „სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, 2020, გვ. 46., ხელმისაწვდომია აქ: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021050611590027208.pdf

[74] სამართლებრივი გადაწყვეტილება სასმელების მწარმოებელი კომპანიის სექსისტურ რეკლამასთან დაკავშირებით: https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040915292943098.pdf; სამართლებრივი გადაწყვეტილება ტელე-საგამომცემლო კომპანიის სექსისტურ რეკლამასთან დაკავშირებით: https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040915474482553.pdf. სამართლებრივი გადაწყვეტილება კომერციული ბანკის სექსისტური სარეკლამო შინაარსის შესახებ: https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040915540327420.pdf; 2020 წლის 20 ივნისის რეკომენდაცია ქართველი პოლიტიკოსებისთვის, ხელმისაწვდომია:https://www.ombudsman.ge/res/docs/2020072909462162001.pdf.

[75] კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2(10-ა).

[76] ხელმისაწვდომია აქ: http://map.ombudsman.ge/ka/

[77] ზოგადი რეკომენდაცია # 25 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, დროებითი სპეციალური ზომები, ხელმისაწვდომია აქ: https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20(English).pdf

[78] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 203.

[79] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), “ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები“, 2018, გვ. 5-6, ხელმისაწვდომია აქ: https://www.isfed.ge/geo/angarishebi/kalta-politikuri-tsarmomadgenloba-da-arsebuli-sakanonmdeblo-barierebi; ასევე, იხ. “ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში”, 2013, გვ. 16-17, ხელმისაწვდომია აქ: http://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/qalta-chartulobis-gazliereba.pdf

[80] საქართველოს სახალხო დამცველი, “ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება”, 2020, გვ. 15, ხელმისაწვდომია აქ: https://ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf

[81] საქართველოს სახალხო დამცველი, "გენდერული მეინსტრიმინგი, საქართველოს მიერ აღიარებულ ივალდებულებებისა და მათი შესრულების სტატუსის მიმოხილვა", 2021, გვ. 33-35, ხელმისაწვდომია აქ: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021031012092173973.pdf; ასევე, იხ., "2014-2020 წლებისთვის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაცია", იქვე, გვ. 46; საქართველოს სახალხო დამცველი, "საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში", 2017, გვ. 17, ხელმისაწვდომია აქ: http://ombudsman.ge/geo/190306081201spetsialuri-angarishebi/saqartveloshi-genderuli-tanasworobis-politikis-ganxorcielebis-gonisdziebata-20142016-wlebis-samoqmedo-gegmis-monitoringis-angarishi; საქართველოს სახალხო დამცველი, "2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 87-88; საქართველოს პარლამენტი, "საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება", 2017, გვ. 34, ხელმისაწვდომია აქ: http://www.parliament.ge/en/ajax/downloadFile/72000/Gender_Equality_NAP_report_2016_ENG_Edited_Final_July_2017.

[82] გენდერული ნეიტრალური ენა ევროპარლამენტში (2018), ხელმისაწვდომია აქ: https://www.europarl.europa.eu/cmsdata/151780/GNL_Guidelines_EN.pdf

[83] ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისია. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში სექსიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკა, 2018 წლის 4 ივნისი.

ადგილობრივ პოლიტიკაში სექსიზმთან ბრძოლა და პრევენცია აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რათა მათი პერსპექტივები თანაბრად აისახოს ადგილობრივ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებში.

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ადგილობრივ დონეზე სექსიზმთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებები და ინიციატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების აქტიურ და ეფექტურ ჩართულობას. სახელმძღვანელო განკუთვნილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათი ეროვნული ასოციაციებისათვის, ისევე, როგორც სექსისტური ძალადობისა და გენდერის ნიშნით მოტივირებული დისკრიმინაციის მსხვერპლებისთვის, როგორებიც არიან ქალი კანდიდატები და ადგილობრივ დონეზე არჩეული წარმომადგენლები.

ადგილობრივ თვითმმართველობაში სექსიზმთან ბრძოლა საჭიროებს კონცენტრირებული ძალისხმევის განხორციელებას მმართველობის ყველა დონეზე, სამართალდამცავ ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას. ისეთი პრაქტიკული ნაბიჯები, როგორიცაა სანდო მონაცემების შეგროვება, ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება ხელს შეუწყობს პრობლემის მასშტაბისა და ბუნების შესახებ საერთო წარმოდგენის შექმნას. საჯარო ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულებები, მის მიერ დასახული მკაფიო მიზნები, ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყოფილ საკმარის რესურსებთან ერთად, ხელს შეუწყობს გამჭვირვალე სტრუქტურების შექმნას, გენდერულად ინკლუზიური ინსტიტუციონალური კულტურის ჩამოყალიბებასა და თანასწორობის გაუმჯობესებას.

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებების წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი აერთიანებს 46 წევრ ქვეყანას, მათ შორის ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განმტკიცებაზე წევრ სახელმწიფოებში. მასში შედის ორი პალატა - ადგილობრივი თვითმმართველობის პალატა და რეგიონების პალატა - და სამი კომიტეტი, რომლებიც აერთიანებს ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების 130,000-ზე მეტი ორგანოს წარმომადგენელ 612 არჩეულ პირს.

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE